# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 31 მაისი, 2011 წელი.

№99 (6710)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




თბილისი, 1989 წლის 9 აპრილი

„იმ სამი ახალგაზრდის დავიწყება ნაღდად გამიჭირდება“...



აქციის მონაწილის შოკის-მომგვრელი მოგონებები

5

## თემურ შაშიაშვილი:

## ბრძოლის შეჩერება დანაშაულია ქვეყნისა და ხალხის წინაშე

4




## ემზალტირებული სპეცრაზმელები ფსიქოტროპული საშუალებებით იყვნენ გაბრუებულნი?

3



თბილისი, 2011 წლის 26 მაისი

## ოთარაანთ ქვრივს გაუკვირდა:

## - დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო!..

2

## „დედა“, რომელიც „შვილებს“ განასხვავებს, „მშობლად“ ივარგებს?!



3

რამ მანატრებინა ესპანელობა...

## კვანტრიძე სპეცრაზმელებმა მოკლეს?!

კობა დავითაშვილის თქმით, დიპკორპუსს შეხვედრაზე წარუდგინეს ფოტომასალა, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ დარბევის დროს კვანტრიძე ხელშეკრული და ცოცხალი იყო.

— ჩვენ წარვუდგინეთ ფოტომასალა. მასში კარგად ჩანს, რომ კვანტრიძე ხელშეკრული და ცოცხალია და დაბლა ჰყავთ დაგდებული. როგორც ჩანს, შემდეგ კვანტრიძე გადაიყვანეს დაკავების იზოლატორში, სადაც წამებით მოკლეს. ხოლო ამის თვალიდან ასარიდებლად კვანტრიძის გვამი თავისუფლების მეტროსთან მდებარე მაღაზიის სახურავზე დააგდეს და თქვეს, რომ ის უბედური შემთხვევის გამო გარდაიცვალა, — განაცხადა დავითაშვილმა.



⦿ წინადადება

## ილია მეორე: დიდი საქმეები ქუჩაში არ უნდა წყდებოდეს

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის განცხადებით, დიდი საქმეები ქუჩაში არ უნდა წყდებოდეს.**

ამის შესახებ უწმინდესმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

„მე ვარ პატრიარქი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი უნდა ვიცოდე. არც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ საკითხში შეუცდომელი ვარ. ეს იმასაც არ ნიშნავს, რომ ყველაზე ჭკვიანი ვარ. როცა ესა თუ ის საკითხი ჩვენს წინაშე დგება, შემიძლია, მორჩილის წინაშე, მოძღვრის წინაშე, მღვდელმთავრების წინაშე, ბავშვების წინაშე დავაყენო და საოცარია, რომ ადამიანი სწორედ აქედან იგებს ჭეშმარიტებას. ადამიანები პროტესტის გამოსახატად ქუჩებში გამოდიან. მე ვფიქრობ, რომ ასეთი ურთიერთობა უნდა დამთავრდეს. დიდი საქმეები ქუჩაში არ უნდა წყდებოდეს. დიდი საქმეები დარბაზში, მშვიდობიან საუბარში უნდა გადაწყდეს და ჩვენ კარგ შედეგს მივიღებთ. ნუთუ არ შეიძლება, შევქმნათ დარბაზი და ხალხი ქუჩაში კი არ გამოვიდეს, არამედ საკითხები ამ დარბაზში გადაწყდეს. ბოლო ასეთი გამოსვლა ძალიან მძიმე იყო და მსხვერპლით დამთავრდა“, – განაცხადა უწმინდესმა.

საკვირაო ქადაგებისას პატრიარქმა 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრებსაც მიუსამძიმრა.

„პირველი“

⦿ ვინ გახდება პრეზიდენტი

## სერგეი შამბა: ვერანაირი გარე ძალები, მით უფრო საქართველო, აფხაზი ხალხის არჩევანზე გავლენის მოხდენას ვერ შეძლებენ

**აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, „ახალი პრეზიდენტის არჩევნები დემოკრატიული ნორმების შესაბამისად ჩატარდება“.**

„არ არსებობს არანაირი ეჭვი იმის შესახებ, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევნები დემოკრატიულად, კონსტიტუციის შესაბამისად, დემოკრატიული ნორმების ფარგლებში ჩატარდება. რა თქმა უნდა, არანაირი ექსცესები არ იქნება“, – განაცხადა შამბამ.

რაც შეეხება შიდა პროცესებში გარე ძალების ჩარევას, უპირველესად კი საქართველოს მხრიდან, შამბა აცხადებს, რომ „ეს გამორიცხულია“.

„ჯერ ადრეა ამ ყველაფერზე საუბარი, თუმცა შიდა პროცესებში გარედან ჩარევა არ იქნება. ჩვენ საზოგადოებრივ აზრზე სერიოზულ გავლენას ვერავინ მოახდენს, მით უფრო, თუ საქართველოზე ვსაუბრობთ“, – განაცხადა შამბამ, რომელიც არასასურველი სცენარით მოვლენების განვითარებას კატეგორიულად გამორიცხავს.

შეგახსენებთ, რომ სერგეი ბაღაფში 29 მაისს დილით მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა. აფხაზეთის „კონსტიტუციის“ თანახმად, „საპრეზიდენტო“ არჩევნები სამი თვის შემდეგ უნდა გაიმართოს.

## ალექსეი ვლასოვი: ბაღაფშის გარდაცვალება სოხუმს და მოსკოვს ბევრ თავის ტკივილს გაუჩენს

**რუსი ექსპერტის ალექსეი ვლასოვის განცხადებით, „აფხაზეთის პრეზიდენტობისთვის მინიმუმ სამი კანდიდატი იბრძოლებს“.**

„რუსეთისთვის ბაღაფშის გარდაცვალება სერიოზული პრობლემაა, რადგან იმ პირობებში, როდესაც მეზობელ საქართველოში არასტაბილური სიტუაციაა, აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნები, ბუნებრივია, აფხაზეთის მიმართულებით ქართული დიპლომატიის გააქტიურებას ნიშნავს, შესაძლოა, იყოს სხვადასხვა სახის პროვოკაციები, აფხაზეთის პოლიტიკურ კლასსა და ელიტაში განხეთქილების შეტანის მცდელობები. ბაღაფშის გარდაცვალება სოხუმს და მოსკოვს ბევრ თავის ტკივილს მოუტანს“, – განაცხადა ვლასოვმა.



მისივე თქმით, „თუ მოულოდნელი კანდიდატურები არ გამოჩნდებიან, სამი გამოკვეთილი კანდიდატი უკვე არსებობს და მათი სახელები კარგად ცნობილია, ისინი დაახლოებით 2010 წლიდან განიხილებიან, როდესაც ბაღაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ ინფორმაცია პირველად გაჩნდა“.

„ერთ-ერთი კანდიდატი სერგეი შამბაა, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და გავლენიანი პოლიტიკური მოთამაშე აფხაზეთში. მას საკმაოდ კარგად აღიქვამენ, კარგი ურთიერთობები აქვს თურქეთთან, მის მიმართ ლოიალურადაა განწყობილი დასავლეთიც. გასაგებია, რომ დასავლეთის მიერ აფხაზეთის აღიარებაზე საუბარი არ არის, თუმცა შამბა მათთვის როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი, საკმაოდ მისაღებია. სხვა შესაძლო ვარიანტებს შორისაა პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ანქვაბი, რომელიც ასევე შესაძლოა, ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად იქნეს განხილული. მესამე კანდიდატი კი, ჩემი აზრით, რაულ ხაჯიმბაა, თუმცა ვფიქრობ, რომ მას ნაკლები შანსები აქვს“, – განაცხადა ექსპერტმა.

ამასთან, მისივე თქმით, „ამჟამად ყველაზე მთავარია, რომ შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დაპირისპირება აფხაზეთის პოლიტიკური სისტემის დამასუსტებელ ფაქტორად არ იქცეს“.

„აფხაზეთში საკმაოდ რთული შიდაელიტური სიტუაციაა, თუმცა ახლა ერთი ყველაზე ღირსეული კანდიდატის ირგვლივ პოლიტიკური კლასის კონსოლიდაციაა აუცილებელი, ხოლო ვინ იქნება იგი – ამას აფხაზი ხალხი გადაწყვეტს“, – განაცხადა ვლასოვმა.

**მაკა ბრეგვაძე**

„პირველი“

⦿ ჭირი დანახული სჯობს

# ოთარაანთ ქვრივს გაუკვირდა: — დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო!..

**დღეს სწორედ ამ „სწორე სამართლის“ უქონლობა მაწერინებს ამ მწარე სტრიქონებს...**

ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა კვირას, 29 მაისს, საგანგებოდ იქადაგა 26 მაისს მომხდარი ტრაგიკული ამბისა გამო და, როგორც სჩვევია, პირში კი არა სწვდა ხელისუფლებას, მოიარებით, ნართაულად უთხრა სათქმელი. დაახლოებით ისე, ლიტრას რომ ეუბნებოდნენ კოკის გასაგონად ანდა ძაღლს რომ სცემდნენ და რძალს ასმენდნენ... თუმცა, ძალიან მეეჭვება, რომ კოკის ან რძლის ადგილას ამ შემთხვევაში წარმოვიდგინოთ ის ჩვენი თანამედროვე ვირთაგვები, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი „სწორე სამართალი“ აქვთ და პარლამენტის დარბაზშიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ სხედან, ყოველ საჭირო დროს ცხელ-ცხელი კვერი დაუკრან თავიანთ ოკეანედალეულ პატრონს, რომელსაც, ბუნებრივია, უნდა უმადლოდნენ და აკი უმადლიან კიდეც უკვე ამდენი წელიწადია მუქთა ქერის ორმოში ყოფნას...

ამ ანგარებიან-ანგარიშიან კვერის დამკვრელობასა და მეტაშეობას კი, ნებსით თუ უნებლიეთ, აშკარად სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მივყავართ. ძალიან ცუდი დაპირისპირებისკენ. როცა, ალბათ, სიკვდილის მოციქული ორსავე მხრიდან დაიწყებს მოციქულობას და ხალხი იძულებული გახდება, რომ ამჟამინდელი „სუროგატი სამართალი“ უტყუარი სამართლით შეცვალოს და თანაც აღარავის არ აპატიოს ადრე ჩადენილი ანტიხალხური და ანტიეროვნული ცოდვები.

რახან „სუროგატი“ სიტყვამ მოიტანა, ისევ კოკისა და რძლის გასაგონად ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში ბევრისგან გაიგონებ, ჩვენი ეგრეთ წოდებული დამოუკიდებლობაც, დემოკრატიაც და თავისუფლებაც მარტოოდენ სუროგატიაო. სუროგატია ჩვენი პარლამენტიც, რომელიც ჯერჯერობით „თბილისური სუროგატია“ და მალე ისევე „სუროგატი პრეზიდენტის“ დაჟინებული აჩემებით „ქუთაისური სუროგატი“ გახდება, თუ, რასაკვირველია, ჩვენც ისევ „სუროგატ ხალხად“ დავრჩით და უდრტვინველად განვაგრძეთ აწინდელი „სუროგატული ცხოვრება“...

ჩემი აზრით, პატრიარქიც, ალბათ, ამას გულისხმობდა, როცა კვირის ქადაგებაში ასე დააყენა საკითხი: **ადამიანი სამი საზომით უნდა მიუდგეს თავის თავს: თვითონ როგორ უყურებ საკუთარ მეობას. სხვა როგორ გიყურებს შენ, და სინამდვილეში ვინა ხარ და რა ხარ.**

საკითხავი მართლაც ეს არის: სინამდვილეში ვინა ვართ და რანი ვართ დღეს საქართველოს მოქალაქენი? მართლა დამოუკიდებელნი, თავისუფალნი ვართ და მართლა დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ თუ ეს ყოველივე თავს მოხვეული ფარსი და მირაჟია?! ცხადია, რომ გზებს, რომელთაც ესოდენ გვამუნათებენ, ერთმანეთისკენ არ მივყავართ, შუქი, რომელიც აგრე ძვირად გვიზის, ნამდვილად ვერ ანათებს იმ სიბნელეს, რომელიც ხელისუფლებასა და ხალხს შუა ჩამოწოლილა, სიტყვის თავისუფლებას, რომლითაც ასე უსინდისოდ ტრაბახობს ხელისუფლება, ისევ ამავე ხელისუფლების ბამბით კარგა გვარიანად დაჩქროთულ ქუჩებში აწევს ძილქუში...

**ერთი სიტყვით, ყველაფერი ისევ და ისევ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიდის, რაც ჩვეულებრივად სამოქალაქო ომის სახელწოდებით არის ცნობილი და მართლაც გამანადგურებელი შედეგები მოაქვს ქვეყნისთვისაც, ხალხისთვისაც და, უწინარესად, თვით სიჯიუტის „ჯორზე შემჯდარი“ ხელისუფლებისთვის.**

მაგრამ, დიდად და დიდად სამწუხაროდ, ამის დანახვა არ უნდათ აწ უკვე ფრიად გამოჩენილ კვერის დამკვრელებსა და მეტაშეებს, რომელთა გვარებია კუბლაშვილები, დარჩიაშვილები, წიკლაურები, გაბაშვილები, მინაშვილები, ოჩიაურები, ბალავაძეები, კანდელაკები, ბოკერიები, ხერხეულიძეები, თორთლაძეები, მაჭავარიანები... რომელთაც, დღევანდელი ფუფუნებით მოყირჭებულთ, რატომღაც მაინცდამაინც არ აფიქრებთ ხვალინდელი პასუხისმგებლობა.

როგორც ჩანს, დასავლეთის იმედად არიან და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი ელჩის ჯონ ბასის ერთგვა-



რად ორჭოფული მხარდაჭერა აბედვინებთ ჯერჯერობით კიდევ ბევრ რასმე...

არადა ეს ის ამერიკაა, რომელსაც, გამოძიების ფედერალური ბიუროს ცნობით, საგარეო ვალი ამჟამად უკვე 8 ტრილიონი დოლარი აქვს, ხოლო შიდა ვალი – 20 ტრილიონი დოლარი, რაც ყოველწლიურად 500 მილიარდი დოლარით იზრდება... გარდა ამისა, თუნდაც მორალური სურათი ნახეთ: იმავე ფედერალური ბიუროს მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 12 წლამდე გოგონების 25 პროცენტს აუპატიურებენ, ხოლო მამაკაცების ასევე 25 პროცენტი ჰომოსექსუალისტია. მარტო ლოს-ანჯელესში ყოვლელწლიურად 200 ათასი ჰომოსექსუალისტი მართავს ეგრეთ წოდებულ აღლუმებს. მოკლედ, ზნეობრივი კოროზია ხრავს ჩვენს ოკეანისგაღმელ პარტნიორს, რომელსაც მთელი 15 წლის განმავლობაში აკრძალული ჰქონდა თვალსაჩინო სოციოლოგის ტომას ჩიტამის წიგნი – „აშშ-ის კრახი. 2020 წლის მეორე სამოქალაქო ომი“. ამერიკის არცთუ სახარბიელო მომავალზეა აგრეთვე საუბარი პატრიკ ბიუკენენის „დასავლეთის სიკვდილში“, ფრენსის ფუკუიამას „დიდ განხეთქილებაში“ და სამუელ ხანტინგნოტის „ვინ ვართ ჩვენ?..“

სხვათა და სხვათა მსგავსად, ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლების რიტორიკაც „შეკერილია“ ლიბერალური დოგმატიკით, რომლის მიზანი ის არის, რომ ხალხისთვის აშკარად უცხო, ცრუ, ხარბი და მოძალადე პოლიტიკა ტრაგიკული სინამდვილის მიმართ ლოიალობად აქციონ და რაც შეიძლება გაიხანგრძლივონ ქერის ორმოში უზრუნველი ჯდომა...

2007 წელს ხელისუფლებას ამდენი არ გაუბედავს ხალხისთვის, რამდენიც 2011 წლის 26 მაისს, ვითომ დამოუკიდებლობის დღეს... სააკაშვილმა მაშინაც ხმამაღლა განაცხადა, პოლიციის მხრიდან ჩადენილ ყველა დანაშაულს გამოვიძიებთო, მაგრამ ყველაფერი მალევე დავიწყებას მიეცა. რასაკვირველია, ასევე იქნება ამჟამადაც, როცა გამოსაძიებელი მართლაც ძალიან ბევრია, თუმცა აღარც ფიცი გვწამს და აღარც ბოლო გვაკვირვებს.

ერთი სიტყვით, სამართალი არა და არა ჩანს. ასეთი შეურაცხყოფილი ხალხი, ალბათ, მაშინ თუ იყო, როცა ასი ათას მორწმუნეს მომხდური თავებს აჭრიდა და მტკვარში ყრიდა. და მტკვარი სისხლისფერი იყო. სისხლისფერი იყო 26 მაისს თბილისის სინამდვილეში არათავისუფლების მოედანიც...

მაგრამ ისევ ჩვენს „ოთარაანთ ქვრივს“ დავუბრუნდეთ. გახსოვთ, ალბათ, რა დღეში ჩაყარა გიორგიმ ვინმე ომარაშვილისა და ბეჟანაშვილის მოჯამაგირეები, რომლებიც უდიერად მოექცნენ კამეჩებს...

**— ე პირუტყვი მაინც არ გენანება, ქრისტიანი არა ხარ, მაგათი ცოდო მაინც არა გწვავს!.. მიგიღრძვია საცოდავები ურემზედ, შიმშილით ფერდები ჩასცვინიათ.**

ბატონებმა უჩივლეს გიორგის, მაგრამ სასამართლომ ოთარაანთ ქვრივის შიშითა თუ რიდით გიორგი გაამართლა. **„გიორგი რომ შინ მივიდა, ყველაფერი უამბო დედას. ოთარაანთ ქვრივს გაუკვირდა:**

**— დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო“.**

ეს იმ ოხერი მეფის რუსეთის დროს მოხდა...

ვაი, ვაი, რომ ახლა სულ სხვანაირი „ვირთაგვები“ არიან, იქნებ აღარც ქრისტიანები, რომელთაც აღარცვისი ცოდო არა სწვავთ! აღარც გიორგი ჩანს სადმე, რომელსაც, თავისი კბილა ფულისაგან გულგაქვავებული ამჟამინდელი ქართველი პოლიციელებისგან განსხვავებით, პირუტყვის ცოდოც კი სწვავდა, არამცთუ თანამემამულისა და თანამოქალაქისა...

**როგორც ჩანს, საქართველო თანდათან კარგავს ოთარაანთ ქვრივის ძვირფას თვისებებს და ნანუკა ჟორჟოლიანისა თუ მაია ასათიანის შოუების რომელიღაც შარვლიან მდედრს ემსგავსება, რომელსაც ახალი უსამართლო ვირთაგვების საამებლად გადაუწყვეტია ეკრანზე ტინგიცობა...**

**გურამ წიკლაური**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ტკივილი

# რამ მანატრებინა ესპანელობა...

## „დედა“, რომელიც „შვილებს“ განასხვავებს, „მშობლად“ ივარგებს?!

**კვირას, 29 მაისს, ესპანელობა ვინატრე.**

**ნუ იჩქარებთ დასკვნების გაკეთებას — „ბარსელონას“ ბრწყინვალე გამარჯვების გამო არ მინატრია ეს (მით უფრო, რომ, იმედი მაქვს, „ჩვენს ქუჩაზეც“ იქნება საფეხბურთო დღესასწაული!)...**

**სხვა „გორის შვილობა“ 26 მაისის სისხლიანი დარბევა-ტრაგედიისას დაღუპული პოლიციის ახალგაზრდა ოფიცრის ვლადიმერ მასურაშვილის დაკრძალვის ცერემონიის ხილვამ მანატრებინა...**

ჯეროვანი მხედრული პატივი მიაგეს დაღუპული პოლიციელის ხსოვნას: პანთეონი, ზალპი, ხელისუფლების წარმომადგენელთა მისამძიმრება...

ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

მაგრამ ეს წერილი „მედლის მეორე მხარემ“ დამაწერინა. იმ ტრაგიკული ღამის შემდეგ სად არ ნახულობენ დაღუპულებს — ზოგს რომელიღაც ნაგებობის სახურავზე — დენს დაურტყამსო (ოღონდ, გასაკვირი ისაა, ხელებშეკრული როგორ და რად ავიდა სახურავზე ის სულგანათლებული!), ზოგს — რომელსამე ბაღში თუ სხვაგან, მაგრამ უმაღლეს ხელისუფალთაგან არავინ დასწრებია მათს დაკრძალვას.

არადა, ცხონებული მასურაშვილიც და ის მეორე დაღუპულიც — **„ყოფილი პოლიციელიც“** (ასე განაცხადა მასზე ტელევიზიით შსს დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა) ხომ იმ ღამეს შეეწირნენ?

**ორთავენი ხომ საქართველოს მოქალაქენი იყვნენ?**

**და რაკი მათგან ერთს, შესაძლოა, ხელისუფლებისგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა** (ამბობენ, ლეიბორისტული პარტიის წევრი იყოო), **ლამის საქართველოს მტრად უნდა ჩავთვალოთ?**

**სწორედ ამის გამო ვინატრე ესპანელობა:**

**იქ გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების დამთავრების შემდეგ ბარიკადების ორივე მხარეს დაღუპულნი ერთნაირი პატივით დაკრძალეს ერთ საძმო სასაფლაოზე — თითოეული მათგანი ესპანეთისთვის, მისი უკეთესი მერმისისთვის იბრძოდა და დაიღუპა, მერე რა, რომ ამ უკეთესი მომავლისკენ მიმავალ გზებს განსხვავებულად, თავისებურად ხედავდნენო!**

**აი, ამ უმტკივნეულესი საკითხ-პრობლემისადმი ჩვენი ხელისუფლების სწორედ ამგვარი სახელმწიფოებრივი, ერისკაცური, უბრალოდ, ადამიანური მიდგომის დანახვა მინდოდა და არა მოვლენების ვიწროპარტიული ჭუჭრუტანიდან ხედვა-შეფასება, რასაც ვითომ „ერთი გუნდის“ პრინციპი ჰქვია, საზოგადოების დაპირისპირებას მხოლოდ რომ აღრმავებს!**

არადა, ის ფრანკო, რომელმაც ეს გააკეთა და, სხვათა შორის, თავისი გაზრდილი ბურბონიც დატოვა ხელისუფლების სათავეში, დიქტატორი იყო, ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები კი პატრიოტები და დემოკრატები არიან?!

**აი, ამან, „ამათ“ ხელში მიუღწეველმა „უბრალო“ რამემ მანატრებინა ესპანელობა!**

**რუსლან რუსია**

# შერჩევითი გლოვა...

**26 მაისს დაღუპული პოლიციელი ვლადიმერ მასურაშვილი საბურთალოს პანთეონში დაკრძალეს. ხელისუფლებამ მკვდრების დახარისხება დაიწყო და ხალხის ნერვებს არად დაგიდევს. შერჩევითი გლოვა კი ისევ ორად ყოფს ისედაც გახლეჩილ და დაქუცმაცებულ საზოგადოებას.**

**„ასეთი ვაჟკაცების თავდადება არ მისცემს მტერს საშუალებას, ჩვენი სახელმწიფო დაამხონ. სანამ ვლადიმერისნაირი ვაჟკაცები იარსებებენ, მტერი ადგილობრივი მოღალატეების დახმარებით წარმატებას ვერ მიაღწევს“,** — განაცხადა ცისკარიშვილმა.

უმრავლესობის კიდევ ერთმა დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმა კი ვლადიმერ მასურაშვილს საქართველოს მომავლისა და თავისუფლების სიმბოლო უწოდა. **„სამძიმარს ვუცხადებ არა მხოლოდ მის ოჯახს, არამედ სრულიად საქართველოს, რადგან ის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დაცვას შეეწირა. დარწმუნებული ვარ, მომავალში მისი სახელი გააერთიანებს ყველას, ვისაც გადაწყვეტილი აქვს ქვეყანა კრიმინალური ქაოსისა და ანარქიისთვის არ გაწიროს და იზრუნოს, რომ საქართველო შედგეს, როგორც თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო“,** — განაცხადა წიკლაურმა.

**მათგან განსხვავებით, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ სხვა კომენტარები ვრცელდება.**

„არა მგონია, ზემოხსენებულ გვამებს საქართველოს დემოკრატიულობა ანალვლებდეთ. მათ საკუთარი სკამების დაკარგვის შიში უფრო ალაპარაკებთ“.

„და აუხსენით ახლა ჯონ ბასს, რომ ეს ჯალათობის გამართლებას, ერის სულში ჩაფურთხებას ნიშნავს...“



„მთაწმინდაზე ვანოს უნახავენ ადგილს!“

„ფსიქოლოგიური ომია ეს. მტერი არის და „მებრძოლებიც“ გვყავს. ერთნი ჯილდოვდებიან, სხვებს საპყრობილეში ყრიან. დამიბრუნეთ ჩემი „ტკბილი“ კომუნიზმი, სანამ ამ „კაპიტალიზმს“ ააშენებთ...“

„მთელი დღე ტელევიზორში მაგ პოლიციელს ატრიალებენ და იმ ხალხს, ვინც დაიღუპა იმ დღეს, არც ახსენებენ, თავისუფლებაზე გარდაცვლილი ნიკა კვინტრაძისმამა დღეს გულის შეტევით დაიღუპა. მაღაზიის სახურავზე რომ იპოვეს, იმის მამა.“

„რა სხვები ადამიანები არ არიან, ვინც 26-ში დახოცეს?“

„ისე ყოფილი პოლიციელებიო, რომ უძახიან და გარეთ გამოყარეს ყოველგვარი საარსებოს გარეშე... მოქმედი პოლიციელების გასაგონად ვამბობ, უარეს დღეში არ აღმოჩნდეთ, ბატონო პოლიციელებო, მერე ჩასარეცხი წყალიც კი აღარ იქნება, ისე ჩაგფხეკავენ.“

„ახლა გასაგებია, რატომ გაუსწორდნენ სასტიკად ქართველებს სპეცნაზელები. — ახალი ქართული ჯიშის მოდგმა გამოიყვანეს — რობოტები, ყველაფერზე ხელის მომწერები... მომიტინგენი მათთვის მტრები იყვნენ და არა — ქართველები.“

„იმიტომ, რომ ასეთი „თავდადებული პოლიციელების წყალობით“ მათ სკამები შეუნარჩუნდათ...“

„და იმის მაგივრად, თანაგრძნობა გვესწავლა, ვისწავლეთ ცინიზმი.“

**„ყველა ქართველი ერთნაირად სტკივა საქართველოს! ხელისუფალნი კი შერჩევით გლოვობენ!....ახლა მაინც მოიქეცით ღირსეულად!“**

**ნატა ნიბლაძე**

ბრიფინგი

# ეგზალტირებული სპეცრაზმელები ფსიქოტროპული საშუალებებით იყვნენ გაბრუებულნი?

## მიტინგზე დეპუტატ კარლო კოპალიანს სასტიკად გაუსწორდნენ



**კარლო კოპალიანი ერთადერთი დეპუტატია, რომელიც 26 მაისის ღამეს მანიფესტანტთა დარბევის ეპიცენტრში იმყოფებოდა, ამის გამო საკმაოდ მოხვდა კიდეც, გაზითაც მოიწამლა და არც შეურაცხყოფა დაჰკლებია სპეცრაზმელების მხრიდან... ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე მან ვრცლად ისაუბრა.**

**„ემოციების გარეშე ვერ ვლაპარაკობ, შოკში ვარ იმ მეთოდების გამო, რაც ხელისუფლებამ გამოიყენა აქციის დასარბევად, — აღნიშნა მან, — 1998 წლიდან ყველა აქციაში ვმონაწილეობდი, 2003-ში, 2007-ში, 2009-შიც, მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავს. პარლამენტის კიბეებზე ვიყავი და კარგად ვხედავდი, რაც ხდებოდა. ხალხი ცდილობდა, გარიდებოდა, მაგრამ გასასვლელი არსად დატოვეს. გვეგონა, თავისუფლების მეტროსკენ იქნებოდა გზა, მაგრამ იქ შეიარაღებული სპეცნაზი დაგვხვდა, კვლავ უკან მივბრუნდით, ამ დროს მოძრაობის უნარი წაგვართვა დიდი ოდენობით გაშვებულმა გაზმა, რეზინის ტყვიები წვიმასავით ცვიოდა... სცემდნენ მოხუცებს, ქალებს, სპეცრაზმელებმა ხელბორკილები დამადეს, ვეუბნებოდი დეპუტატი ვარ, ხელი არ მახლოთ-მეთქი, მაგრამ მაინც ფეხებში მირტყამდნენ. გამომიყვანეს და პოლიციელებს გადამცეს. სამმართველოში მივყავდით, გზაში გამჩხრიკეს და პარლამენტარის მოწმობა რომ აღმომიჩინეს, სადღაც დარეკეს, რა ვქნათო... ამის შემდეგ გამათავისუფლეს“.**

დამისახელეთ ქვეყანა, სადაც მოქმედ პარლამენტარს აქციაში მონაწილეობის გამო იჭერდნენ?! თუ მე სახელმწიფო გადატრიალებას ვგეგმავდი, კი, ბატონო, აქა ვარ, დამიჭირონ, — აცხადებს დეპუტატი, რომელიც აქციის დაგეგმვაში ყოველგვარ რუსულ კვალს აბსურდულ მონაგონს უწოდებს და ამბობს, რომ მას წინასწარ რომ სცოდნოდა ამის შესახებ, აქციაზე არც მივიდოდა; **„რევოლუციის მცდელობაც კი არ ყოფილა, 1500 კაცი რევოლუციას ვერ მოახდენდა. სახალხო კრების გეგმებისა არაფერი ვიცი, მაგრამ მე ყოველგვარი სისხლისღვრის წინააღმდეგი ვარ. რა რუსეთი, რის რუსეთი, თუკი ეს ვინმეს უნდოდა, მოახერხებდა კიდეც. თამამად შემიძლია გითხრათ, ხალხს რომ სცოდნოდა ასეთი რამის შესახებ, იქ 20 კაციც არ მივიდოდა, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია. იქ იდგა მშიერი ხალხი, რომელიც თავის დუხჭირ ცხოვრებას აპროტესტებდა“,** — ამბობს ის.

კარლო კოპალიანი ეჭვობს, რომ სპეცრაზმელები რაღაც ფსიქოტროპული საშუალებით იყვნენ გაბრუებულები, რადგან ძალიან ეგზალტირებულები არბევდნენ მომიტინგეებს: **„ადრე მე-8 პოლკით გვაშინებდნენ, რომელიც უდედმამო ბავშვებისგან ყალიბდებოდა და ამიტომაც სისასტიკით გამოირჩეოდნენ. მაგრამ ეს ბიჭებიც მათგან არაფრით განსხვავდებოდნენ. ვერ წარმომიდგენია, შინ რომ მიბრუნდნენ, შვილებს რა უთხრეს, როგორ მოეფერნენ?“** — აღნიშნა მან.

„გადამეტებული მოქმედება“ — ძალიან რბილად ნათქვამია, ფიქრობს პარლამენტარი, რადგან შეიძლებოდა მიტინგი მშვიდობიანად დაშლილიყო და ეს იქნებოდა აბსოლუტურად კონსტიტუციური ქმედება, მაგრამ ეს იყო დაუნდობელი დარბევა. ამის გამო პასუხისმგებლობას ისევ და ისევ ხელისუფლებას აკისრებს, ხოლო პარლამენტს საგამოძიებო კომისიის შექმნისკენ მოუწოდებს. **„ყველამ უნდა აგოს პასუხი, დაშავებულთა, დაღუპულთა გამო — ეს იქნება პოლიციელი თუ რიგითი მოქალაქე. ხელისუფლებასთან ერთად, არანაკლები წვლილი მიუძღვის იმ პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს, რომლებმაც ხალხი მიატოვეს. პარლამენტმა აუცილებლად უნდა მისცეს ამ ფაქტს შეფასება, რადგან ჩვენ იმ ხალხის არჩეული კრებული ვართ, რომელთა ნაწილიც ქუჩაში იდგა. პარლამენტის საგამოძიებო კომისია უნდა დაკომპლექტდეს როგორც დეპუტატებისგან, ისე ექსპერტებისგან და პირუთვნელი შეფასება დადოს“,** — აცხადებს კოპალიანი.

ცაგერის დეპუტატი არანაკლებ აღშფოთებულია იმით, რაც შემდეგ მოხდა: **„რეგიონებში ზარ-ზეიმით აღნიშნეს 26 მაისი. ჩემს რაიონში, როგორც მითხრეს, გრანდიოზული კონცერტი ჩაუტარებიათ, ფეიერვერკები გაუშვიათ, ალბათ, მერე იქეიფებდნენ და გამარჯვებასაც აღნიშნავდნენ... ასე იყო 1956 წელში, 9 მარტს, როცა ხალხი დაარბიეს და დახოცეს, ყველასათვის ცნობილია, როგორ გაილეშა ხრუშჩოვი. ასეთი უდიერი და ამაზრზენი დასკვნები მაშფოთებს სწორედ“,** — დასძინა მან.

**თეა მოსია**



# გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

***● 1989 წლის 9 აპრილმა გათხარა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური სამარე და მოკლე პერიოდში ჩაასვენა კიდეც საბჭოთა რეჟიმი ამ სამარეში.***

***● 2011 წლის 26 მაისმა გათხარა სააკაშვილისა და მისი რეჟიმის პოლიტიკური სამარე და ახლა ხალხზე, პოლიტიკოსებსა და ზნეობრივ ავტორიტეტებზეა დამოკიდებული, რომ მოკლე პერიოდში ჩავასვენოთ ეს რეჟიმი პოლიტიკურ სამარეში.***

***● ცინიზმია, რომ ხელისუფლება, რომელმაც ყოვლად უყურადღებოდ დატოვა 9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლისთავი, აღნიშნავდეს 26 მაისს, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირიდან თავის დახსნის 20 წელი სააკაშვილისათვის მთავარი დღე არ არის.***

***● პოლიტიკურ სამარეში ჩასვენება ეს უნდა იყოს ვადამდელი, ნამდვილად დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები, რომლის მიღწევა ქუჩის აქციების, მოლაპარაკების პროცესის, ჩვენი მეგობრებისა და უცხოეთში მოქმედი ნამდვილად ქართული განწყობის ორგანიზაციების ერთიანი მოქმედების გარეშე შეუძლებელია. ეს ერთიანობა უნდა იყოს მომავლის საქართველოს დიდი პოლიტიკური პროცესი.***

***● საქართველოს მომავალი ეს არის ქვეყანა გარედან მართვადი ხელისუფლების გარეშე.***

# ბრძოლის შეჩერება დანაშაულია ქვეყნისა და ხალხის წინაშე

### I. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებათა მსგავსება 9 აპრილისა და 26 მაისის მოვლენათა შედარებითი ანალიზით

**9 აპრილის მიტინგი** თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე საბჭოთა ხელისუფლებამ დაარბია იმ მოტივით, რომ იგი სანქცირებული არ იყო.

**26 მაისის მიტინგი** იმავე ადგილზე, თბილისში რუსთაველის პროსპექტზე საქართველოს ხელისუფლებამ დაარბია იგივე მოტივით, რომ იგი სანქცირებული არ იყო.

**9 აპრილს** დარბევის წუთიდან საბჭოთა ხელმძღვანელები ერთ ხმაში შეწყობილნი აცხადებდნენ, რომ აქციის ლიდერებმა ხალხი მოატყუეს, გაწირეს, მიტინგიდან გაიქცნენ.

**26 მაისის** დარბევის დაწყების წუთიდან, სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები აცხადებდნენ იგივეს: აქციის ლიდერებმა ხალხი მოატყუეს, გაწირეს, მიტინგიდან გაიქცნენ.

**9 აპრილის მიტინგის** დარბევის დამთავრებისთანავე, საბჭოთა ხელმძღვანელებმა დაიწყეს საუბარი დაშავებულ ჯარისკაცებსა და პოლიციელებზე, არ აინტერესებდათ დაშავებული მოქალაქეები.

**26 მაისის მიტინგის** დამთავრებისთანავე, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო საუბარი მხოლოდ დაშავებულ და დაღუპულ პოლიციელებზე, საერთოდ არავითარი ხაზგასმა არ კეთდებოდა დაშავებულ მომიტინგეებზე.

**9 აპრილს** საბჭოთა ხელისუფლება აღიქვამდა არა როგორც ქართული სულის ქმედებას, არამედ როგორც უცხოეთიდან ორგანიზებულ, მართვად, მხარდაჭერილ და დაფინანსებულ აქციებს.

**26 მაისის** დემონსტრაციებს საქართველოს ხელისუფლება უწოდებს გარე ძალების მიერ ორგანიზებულს, მხარდაჭერილსა და დაფინანსებულს... ამტკიცებს, რომ ეს არ არის ქართველი ხალხის განწყობა...

### II. შეფასებები

**მსგავსებათა ჩამოთვლის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ვერ გასცდა საბჭოურს ვერც აზროვნებით და ვერც მოქმედებით.**

საქართველოს ხელისუფლება უფრო შორს წავიდა და ბოლშევიზმის სათავეების იდეოლოგიაში შევიდა.

საბჭოთა კონსტიტუცია არ იძლეოდა მიტინგების ჩატარების უფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის 25 პუნქტი ყველას აძლევს ამის უფლებას ყოველგვარი სანქცირების გარეშე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ 1990 წლის საბჭოთა კავშირში მიტინგები გაცილებით უსაფრთხო იყო, ვიდრე დღევანდელ დამოუკიდებელ საქართველოში.

ცინიზმია, როცა სააკაშვილი, რომელიც მხოლოდ უკანონო ქმედებებით – დაწყებული არასანქცირებული მიტინგებითა და დამთავრებული უკანონოდ პარლამენტში შევარდნით, პარლამენტის დარბევით, სახელმწიფო გადატრიალების მოხდენით მივიდა ხელისუფლებაში – საუბრობდეს დღეს სხვის მიერ ჩატარებული მიტინგების არასანქცირებულობაზე, მათი დარბევის აუცილებლობაზე, ვინმეს ბრალს სდებდეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში.

საქართველოს ხელისუფლებამ, პოლიციაში რომ სისასტიკის განწყობა გაეძლიერებინა, მოიგონა ტყუილი, თითქოს დაიღუპა პოლიციელი. ჩვენ ყველანი ვისმენდით მომიტინგეთა დარბევისა და ცემის მომენტში პოლიციელთა განრისხებულ შეძახილებს: „მეგობარი მოგვიკალით, თქვენი...“ (განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებს, თუ როგორ შეიძლება ხუთი მანქანისაგან შემდგარი კოლონის ბოლო მანქანამ მოახდინოს ავტოავარია ერთი ადამიანის დაზიანებით... ეჭვი მეპარება, რომ ეს ხალხი გაწირა ხელისუფლებამძ

ტყუის ხელისუფლება, როცა ამბობს, რომ მიტინგის ლიდერები დარბევამდე გაიქცნენ. ჩვენ ყველანი დარბევის დაწყებამდე ვიყავით ხალხში და ხალხთან, დავიწყეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ნამდვილი ქართული წესით, არავის აზრადაც არ მოგვსვლია ხალხის დატოვება, მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა შეთანხმება, დარბევის შემთხვევაში მოქმედებათა შემდგომი გაგრძელებისათვის საბჭოს წევრებს მოგვეხერხებინა ოპერატიული შეკრება, ბრიფინგის მოწვევა, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრა და მათი ინფორმირება.

ხელისუფლების ტყუილს ადასტურებს თუნდაც ის, რომ ბოლო, ვინც იდგა მიკროფონთან, მე ვიყავი და როდესაც ყველა მხრიდან დაიძრენ სადამსჯელო რაზმები, ჩვენ მაშინ „მამაო ჩვენოს“ ვკითხულობდით, როცა დავამთავრეთ ლოცვის კითხვა, პრაქტიკულად ალყაში ვიყავით, ჩემი მოწოდება იყო: „სიყვარულით შევხვდეთ სიძულვილით სავსე ხელისუფლების გამოგზავნილთ“ – ეს სიტყვები დავასრულე და ერთდროულად სცენაზე წყლის ჭავლი და მომწამლავი გაზის ბალონები გვესროლეს... ეს იყო საშინელება...

### III. ხელისუფლების ცინიზმი და სააკაშვილის მიერ გამოგონილი „რუსული სცენარი“

**ცინიზმია, რუსულ ფინანსებზე საუბარი, როცა სააკაშვილი და მისი ხელისუფლება (ვსაუბრობ დადასტურებულად) 2003 წლის რევოლუციის წინა პერიოდში უცხოეთიდან და რუსეთიდან ფინანსდებოდა და იმართებოდა, და რომ არა დასავლეთის და რუსეთის მილიონები, რომ არა მაშინდელი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონი ივანოვის ჩამოსვლა საქართველოში, მისი გამოყვანა მიტინგზე პარლამენტის წინ, რომ არა ივანოვის (ანუ რუსეთის) მხარდაჭერა მაშინდელი ლიდერებისადმი, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება არ შედგებოდა. სააკაშვილი და მისი რეჟიმი ხელისუფლების სათავეში ვერ მოვიდოდა.**

15 წელია, როცა „მოქკავშირს“ და მის იდეურ მემკვიდრეს – „ნაცმოძრაობას“ უჭირს, საქართველოში „ჩამოდის“ მათ მიერ გამოგონილი საფრთხობელა – იგორ გიორგაძე, - 15 წელია მოდის, მაგრამ ჯერ ვერ ჩამოაღწია... თუმცა არაერთხელ სწორედ გიორგაძემ გადაარჩინა შევარდნაძისა და და სააკაშვილის რეჟიმები .

ბოლო 2-3 წელია, მუდმივად „მოდის“ ოქრუაშვილი... ეს ხელისუფლება აცხადებდა, რომ ოქრუაშვილი შემოუერთდა სახალხო კრებას, ჩასულია მოსკოვში, ააჭრელეს პრესა „რუსულ სცენარებზე“ საუბრით... რეალურად კი „სახალხო კრების“ მიერ გადამწყვეტ თარიღად გამოცხადებული 25 მაისის წინა დღეს ოქრუაშვილმა ლახვარი ჩაგვცა ჩვენ და . ქართველ ხალხს, სრულიად საქართველოს და დიდი საჩუქარი მიართვა მიხეილ სააკაშვილს და მის რეჟიმს...

არაერთი პოლიტიკოსი გვაშინებდა, რომ რუსთაველის პროსპექტზე შეტაკების შემთხვევაში რუსეთის ჯარი შემოვიდოდა, ტყუოდით, ბატონებო - შეტაკება მოხდა, მაგრამ რუსეთის ჯარი არ შემოსულა... საერთოდ, რუსეთის წინააღმდეგ ვინც გამოდის საქართველოში, ის რუსეთის საქმეს აკეთებს. ყველა მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ მთელი ისტორიის მანძილზე რუსეთს არ მიუღია იმდენი სარგებელი საქართველოში, რამდენიც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, დღეს საქართველოში ტანკით შემოსვლა არ აწყობს სწორედ რუსეთს, რადგან საითაც არ უნდა ისროლოს, საკუთარ თავს მოარტყამს.

დღეს რუსეთს ეკუთვნის საქართველოს მთავარი ენერგეტიკული ობიექტები, რუსეთისა საბადოები ჭიათურაში, ბოლნისში, რუსთავში და ა.შ... ნიშანდობლივი იყო რამდენიმე დღის წინათ საქართველოსა და რუსეთის შსს მინისტრების შეხვედრა სომხეთში (დამაფიქრებელია შეხვედრის ადგილიცძ. როგორც ჩანს შედგა დიდი გარიგება – ყველაფერი სკამის ფასად, ანუ სააკაშვილის და მისი რეჟიმის მიერ სკამის შენარჩუნებას ეწირება საქართველო თავისი ტერიტორიებით, თავისი სიმდიდრით, წიაღისეულით, ხალხის განწყობითა და პოლიტიკური პროცესებით .

ამ შეხვედრის შემდგომ რუსეთისთვის გადაცემული ობიექტების რიცხვშია ხრამი-1 და ხრამი-2, საქართველოში შემოსევაა სააკაშვილთან დაახლოებული იმ ქართველი ბიზნესმენებისა, ვინც მეგობრობს ბატონ პუტინთან, მაშინ როცა სააკაშვილი თავის ძალაუფლებას იმყარებს პუტინის წინააღმდეგ ბრძოლის დროშას ამოფარებული. ბატონი პუტინი, ვერც კი წარმოიდგენდა, ისეთ დათმობებზე მიდის საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, თუმცა როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას მინიჭებული აქვს უფლება, შეაშინოს ხალხი რუსული ტანკით და პუტინით.

კარგად მითხრა 2002 წლის იტალიის მხარის, ლაციოს პრეზიდენტმა: „გეშინოდეთ იმ ადამიანების, რომლებიც რუსეთის ლანძღვით მიცოცავდნენ ხელისუფლებაში“. ჩვენ ეს გავაცნობიერეთ და ოთხი ქვეყანა, რომლებმაც რუსეთთან ომი წააგეთ – საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი განსაკუთრებულად კარგ დამოკიდებულებაში ვართ რუსეთთან. რადგან ვიცით, რომ რუსეთთან ომით ვერაფერს მივაღწევთ, ხოლო მასთან მეგობრობით შეიძლება ეროვნული ინტერესების დაცვა.

ხელისუფლებაში, სწორედ ის პოლიტიკოსები მიცოცავენ, ვინც რუსულ ჩექმაზე და პუტინზე საუბრით შიშს ნერგავს ქვეყანაში და ამით მოგებულია მხოლოდ რუსეთი, ხოლო წაგებული ვართ ჩვენ ყველანი და სრულიად საქართველო. დავფიქრდეთ. სწორედ ამას მოუწოდებს „ სახალხო კრება“ საქართველოს მოსახლეობას. საქართველოს ნამდვილი მეგობრები გვეუბნებიან, რომ რუსეთთან მეგობრობის გარეშე საქართველოს მომავალი არ აქვს.

### IV. კომენტარები მომხდარზე და უკომენტაროდ დატოვებული უმძიმესი კვლევა:

**„საქართველოს მოსახლეობის გენოციდი, მოწყობილი საქართველოს ხელისუფლების მიერ“ და „მხილების მუზეუმი“**

26 მაისის შემდგომ კეთდება უამრავი კომენტარი. ჩვენ ყველა ავტორს პატივისცემას ვუდასტურებთ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ აფასებენ ამ მოვლენებს და როგორ გვაფასებენ ჩვენ. ყველა თავისუფალია შეფასებაში.მაგრამ არ მახსოვს ბევრი, რომელიც დღეს ასე თავგამოდებით ლანძღავს კრებას და მის ლიდერებს და ასე თავგამოდებით იცავს ხელისუფლებას, შეშფოთებულიყო ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალით: „საქართველოს მოსახლეობის გენოციდი მოწყობილი საქართველოს ხელისუფლების მიერ“ რუსთაველის მეტროსთან მოწყობილი გამოფენით „მხილების მუზეუმი“ (ორთავე განთავსებულია საიტზე **tetrebi.orgძ**

ცინიზმია, როცა გია ნოდია და მსგავსნი მისნი, რამდენიმე ათასი რომ აქვთ ყოველთვიური ხელფასი, **არ წუხან იმაზე,** რომ საქართველოში არის საქართველოს მოსახლეობის რეალური გენოციდი. რომ საქართველოში არის განცხრომით მცხოვრები ხელისუფლება და საშიმშილოდ განწირული მოსახლეობის 90% ... **არ აწუხებთ** სახელისუფლებო მაფიოზური კლანი, სააკაშვილის ოჯახის ფინანსური ინტერესები ყველგან და ყველაფერში... **არ აწუხებთ ის,** რომ თბილისით, ბათუმით, ფოთით, ზესტაფონით, ბოლნისით, ჭიათურით, ქუთაისით, რუსთავით დაწყებული, წალკითა და მცხეთით დამთავრებული, ყველგან ბიზნესს ხელისუფლება განაგებს, ყველა ღირებულ სიმდიდრეს ხელისუფლება ფლობს.

მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ იყო გაცხადებული, 18 მაისს, 13:00 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ ჩვენ ვადგენდით მეცნიერთა და ექსპერტთა დასკვნას „საქართველოს მოსახლეობის გენოციდი“. მოწვეული გვყავდა ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერი, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, მედიის ორგანიზატორები, თავი არავის შეუწუხებია, სახელისუფლებო ტელევიზია საერთოდ არ მოსულა. დღეს ყველაზე მეტად ხმაურობენ ის პოლიტიკური ძალები, ის პოლიტიკოსები, ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც არათუ შეძრწუნებული უნდა იყვნენ იმ ანალიზით, რომელიც ჩვენ იქ წარვადგინეთ და დევს საიტზე **tetrebi.org** არამედ, ქუჩაში უნდა იდგნენ და გამოხატავდნენ პროტესტს იმ ხელისუფლების მიმართ, რომელიც განცხრომაში ცხოვრობს და საკუთარ ხალხის გენოციდს უწყობს.

ყველა თავისუფალია შეფასებაში, მაგრამ ყველას ავიწყდება ერთი და უმთავრესი, რომ ჩვენ გვინდოდა არა აღლუმის ჩაშლა, არამედ ის, რომ აღლუმი არ მიეღო იმ კაცს, რომელიც თავს მხედართმთავრად თვლის და უბრალო ხმაურზეც კი მიწაზე ფორთხავდა გორში, მაშინ, როცა ქართული ჯარი სისხლისგან იცლებოდა, პირტიტველა ბიჭები ბრძოლის ველზე იყვნენ მიტოვებულები ... ჩვენ გვინდოდა შემდგარიყო ნამდვილი ქართული დღესასწაული სამხედრო ტექნიკის გარეშე და ქვეყნის, ერის და ჯარისკაცების შემარცხვენელი მხედართმთავრისათვის აღლუმის ჩაბარების გარეშე.

ისტორიამ განსაჯოს, სწორი იყო თუ არა ჩვენი პოზიცია, იყო თუ არა ეს ჩვენი ბრძოლა ღირსებისათვის.

### V. ჩვენ გადავდგით რისკიანი ნაბიჯი

**ის, რომ ჩვენ გადავდგით რისკიანი ნაბიჯი და არც ის დაგვიმალავს, რომ ამ სისხლიანი ხელისუფლებისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, რომ ვინც ამისათვის მზად არ იყო, არ უნდა დარჩენილიყო მიტინგზე – ეს ფაქტია, ამას მიტინგზე ჩვენი გამოსვლები ადასტურებს.**

ფაქტია ერთიც, ვაჟკაცი პრეზიდენტი ასე არ მოიქცეოდა. მშიშარა და მიწაზე მფორთხავი მოიქცა ისე, როგორც მოიქცა.

დღეს ყველა ნამდვილი ქართველი, ყველა, ვისაც საქართველო უყვარს, საქართველოს ყველა ნამდვილი მეგობარი, შეწუხებული უნდა იყოს იმით, რომ საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი დღე - თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დღე დაიწყო ქართველი ხალხის დარბევით და ძალის დემონსტრირებით... ყველას ღირსება უნდა იყოს შელახული, რომ აღლუმი მიიღო კაცმა, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართული ინტერესების ღალატი, ქართველი ხალხის სიძულვილი, პოლიტიკური მაფიის შექმნა, საკუთარი ხალხის გენოციდი და მიწაზე ფორთხვა იმ დროს, როცა ჯარისკაცებს იმედის მიცემა სჭირდებოდათ.

### VI. 2011 წლის 26 მაისის ბარბაროსული დარბევა - სააკაშვილისა და მისი რეჟიმის პოლიტიკური სამარე

**ფაქტი ერთია, 1989 წლის 9 აპრილმა გათხარა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური სამარე და მოკლე პერიოდში ჩაასვენა კიდეც საბჭოთა რეჟიმი ამ სამარეში.**

2011 წლის 26 მაისმა გათხარა სააკაშვილისა და მისი რეჟიმის პოლიტიკური სამარე და ახლა ხალხზე, პოლიტიკოსებსა და ზნეობრივ ავტორიტეტებზეა დამოკიდებული, რომ მოკლე პერიოდში ჩავასვენოთ ეს რეჟიმი პოლიტიკურ სამარეში.

ეროვნული-წარმომადგენლობითი სახალხო კრება ამ განწყობით მოქმედებდა და ამ განწყობით გააგრძელებს მოქმედებას.

ამ გეგმების თაობაზე ჩვენ უახლოეს პერიოდში ვაცნობთ საზოგადოებას.

კიდევ ერთხელ და ხაზგასმით ვამბობ, რომ ცინიზმია, რომ ხელისუფლება, რომელმაც ყოველგვარი ყურადღების გარეშე დატოვა 9 აპრილი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლისთავი, აღნიშნავდეს 26 მაისს, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირიდან თავის დახსნის 20 წელი სააკაშვილისათვის მთავარი დღე არ არის.

### VII. ბრძოლის შეჩერება დანაშაულია ქვეყნისა და ხალხის წინაშე

**და კიდევ ერთი განსაკუთრებული სათქმელი, ჩემი პოზიციის გამოსახატად, ძალიან ვწუხვარ, რომ რუსეთი დღემდე ვერ ხვდება, რომ მისი ინტერესები საქართველოში გაანადგურეს მოსკოვის მიერ დასმულმა და მოსკოვის ფეხქვეშ გართხმულმა ხელმძღვანელებმა.**

**ძალიან ვწუხვარ,** რომ ამერიკა ვერ ხვდება, რომ ამერიკის ავტორიტეტი დაასამარა საქართველოში მიხეილ სააკაშვილმა. **ვწუხვარ იმას,** რომ ამერიკის ინტერესებს სწორედ ამერიკის ფეხქვეშგართხმული ხელისუფლება ანადგურებს საქართველოში.

**ძალიან ვწუხვარ,** რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ან ამერიკასთან უნდა ვიყოთ ან რუსეთთან. საქართველოსთვის უბედურებაა როგორც ამერიკის მიერ დასმული, ასევე ,რუსეთის მიერ დასმული ხელისუფალი. ამერიკისათვისაც, ევროპისათვისაც, რუსეთისთვისაც გაცილებით უკეთესი იქნება, სხვის ჩაურევლად არჩეული ხელისუფლება. ქართველ ხალხს უყვარს ამერიკა და უნდა კეთილმეზობლური ურთიერთობები რუსეთთან, სააკაშვილს კი სჭირდება ამერიკაც, ევროპაც და რუსეთიც.

იყავით კარგად მათთან, ვისაც უყვარხართ და არა მასთან, ვისაც სჭირდებით თავისი ხელისუფლების გასამყარებლად.

ჩემი და „სახალხო კრების“ „ოცნებაა საქართველო –გარედან მართვადი ხელისუფლების გარეშე“ და სწორედ ამ განწყობით უნდა წარიმართოს მთავარი პოლიტიკური პროცესი, მოიგებს ყველა, პირველ რიგში საქართველო და მთელი მსოფლიო დარწმუნდება, რომ ქართველი ხალხის მსახური ხელისუფლება დიდი სახელმწიფოების ინტერესებს კი არ დააჯახებს საქართველოში, არამედ ქართულ ინტერესებზე დაყრდნობით იბრძოლებს ცივილიზებული მსოფლიოს ინტერესების გატარებისათვის მთელს კავკასიაში.

**თემურ შაშიაშვილი,**
**ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრი მოძრაობა“ (თეთრები“)**
**თბილისი, 2011 წლის 28 მაისი.**

**P. S. იმ ფიზიკური ძალადობის გამო, რომელიც ჩემზე განხორციელდა 26 მაისს, ვარ მძიმე მდგომარეობაში და თავზე ჭრილობების გამო, როგორც მინიმუმ 10 დღე, განსაკუთრებული საექიმო რეჟიმი მაქვს დანიშნული, რეჟიმი, რომელიც გამორიცხავს ინტერვიუების მიცემას და აქტიურ მოღვაწეობას - შეუძლებლად ვთვლი ვიყო ამ მდგომარეობაში და შევეცდები ხვალ, 29 მაისს, ჩავატარო საგანგებო ბრიფინგი.**

**რედ. 29 მაისს თ. შაშიაშვილის საგანგებო ბრიფინგი შედგა.**

ანალიზის მცდელობა

# „გეგმა-ა“ და „გეგმა-ბ“

**ოპოზიციის ნაწილის აშკარა კავშირი მოსკოვთან; მოსახლეობის უმრავლესობის ნეგატიური განწყობა კოლაბორაციონისტების მიმართ; უახლოეს პერსპექტივაში გარდაუვალი შიდა პოლიტიკური ცვლილებები. აი რა აღელვებს არა მარტო საქართველოს, არამედ სერიოზულად აფიქრებს დასავლეთს და რუსეთს, ვინაიდან აგვისტოს ომის შედეგებმა წარმოქმნეს პოლიტიკური კვანძი, რომლის გახსნა, მართალია სხვადახვა მიზეზით, სჭირდება საქართველოს, დასავლეთს და რუსეთს.**

ეს იოლი ასახსნელია და გასაკვირია რატომ აქამდე ამაზე სიტყვა არ დაუძრავთ ქართველ პოლიტოლოგებს, ანალიტიკოსებს და ექსპერტებს.

**რატომ სჭირდება დეოკუპაცია საქართველოს, გასაგებია.**

**რატომ სჭირდება დეოკუპაცია დასავლეთს?**

● წყნარი და მშვიდობიანი ენერგოტრანზიტისთვის.

● კიდევ ერთი დემოკრატიული, უკონფლიქტო, მეგობრული სახელმწიფოს არსებობისთვის მეტად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რეგიონში – ამიერკავკასიაში.

● ჯიუტ და აგრესიულ რუსეთთან ზედმეტი დაძაბულობის მოსახსნელად.

**რატომ სჭირდება დეოკუპაცია რუსეთს?**

● ოკუპაციით მას არაფერი არ მოუგია პოლიტიკურად.

● ოკუპაციით მას არაფერი არ მოუგია ეკონომიკურად.

● ოკუპაციით მას არაფერი არ მოუგია იდეოლოგიურად.

● ოკუპაციით ის მნიშვნელოვნად ზარალობს საგარეო ურთიერთობების კუთხით.

● ოკუპაციით ის მნიშვნელოვნად ზარალობს ეკონომიურად.

● ოკუპაციით ის მნიშვნელოვნად ზარალობს შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით.

ზემოხსენებული პოლიტიკური კვანძის გახსნა ყველა დაინტერესებული მხარისთვის შეუძლებელია, სანამ ორ ქვეყანაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურად რჩებიან პუტინი და სააკაშვილი. ამ ეტაპზე რუსეთის პოზიცია, ვფიქრობ, ერთობ მარტივია: ან გამოუვა რაიმე ქართულ შეურიგებელ ოპოზიციას, ან არ გამოუვა (დავარქვათ ამას პირობითად **„გეგმა-ა“**). თუ გამოუვიდა – ხომ კარგი და მაშინ გაწეული ხარჯიც გამართლებულია. თუ არ გამოუვიდა – მაშინ ასამოქმედებელი იქნება მეორე გეგმა (დავარქვათ ამას პირობითად **„გეგმა-ბ“**). და გაწეული ხარჯიც ამ გეგმის ხარჯებს მიეწერება.

ყველაზე წამგებიანია, როდესაც მოწინააღმდეგეს უჭკუოდ, პრიმიტიულად თვლი. მართალია, **„გეგმა-ა“** პრიმიტიულობაზეა აგებული, მაგრამ აჯობებს წარმოვიდგინოთ, რომ ეს ტაქტიკური ხრიკია და მის მიღმა უფრო ჭკვიანური **„გეგმა-ბ“** იგულისხმება.

სამძებრო პრაქტიკაში არსებობს წყვილად მოქმედი ორი, „ბოროტი“ და „კეთილი“, გამომძიებლის მეთოდი, როდესაც დაკითხვისას ბოროტისგან დაქანცული და ნაწამები ადამიანი ფსიქოლოგიურად კეთილისკენ ილტვის და ენდობა მას.

შესაძლებელია **„გეგმა-ბ“**-ში ეს პრინციპი იყოს ჩადებული: რევოლუციურად აღგზნებული ოპოზიცია მოსახლეობას საბოლოოდ თავს აბეზრებს და ბოროტების დაღით ტოვებს პოლიტიკურ სცენას – „გეგმა-ბ“-ში მას პოლიტიკური მსხვერპლის როლი მიუჩინეს... ამ დროს საზოგადოებას ევლინება ნაცნობი ოპოზიციონერი, რომელიც მანამდე არ აქტიურობდა და ბეჯითად ნერგავდა საზოგადოებაში წარმოდგენას რომ: არც რადიკალია, არც დემაგოგი – რომ ხელისუფლებისგან და სხვა ოპოზიციონერებისგან განსხვავებით ახალი, ყველასთვის მისაღები პოლიტიკური სტილი აქვს – მომთმენია, წყნარი, ზრდილობიანი, საქმეში ჩახედული... ასეთი პოლიტიკოსი, სწორედ რომ, ბოროტების სრულიად საწინააღმდეგო სახეა და ამავე დროს არც სააკაშვილს ჰგავს. ხელისუფლების მიმართ გარკვეული პრეტენზიებით დატვირთული და სხვა პოლიტიკური ძალებისგან დაქანცული ამომრჩეველი ასეთ პოლიტიკოსს მიენდობა.

არც ისაა გამორიცხული, რომ დასავლეთსაც და რუსეთსაც ასეთი ადამიანი აწყობდეს, ვინაიდან, როგორც ვახსენე, პოლიტიკური კვანძის გახსნა მათთვის პრიორიტეტულია. არც იმის გამორიცხვა შეიძლება – დასავლეთმა და რუსეთმა ასეთი ადამიანის კანდიდატურის მეშვეობით ერთმანეთთან კონსენსუსს მიაღწიონ. დღეს, სავარაუდოდ, ასეთი ფუნქცია ალასანიასთვის გამოდგება.

**მალხაზ ჟვანია**

„ჯოჯოხეთია მოსაგონებლად“

# „იმ სამი ახალგაზრდის დავიწყება ნაღდად გამიჭირდება“...

## აქციის მონაწილის შოკისმომგვრელი მოგონებები

**სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ 26 მაისის აქციაზე ერთ-ერთი დაკავებულის „პოსტი“ გავრცელდა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.**

„23 რიცხვიდან აქციაში ჩავერთე თბილისში, დარბევის დროს ბიჭებთან ვიყავი და მეც პლასტმასის ხელკეტი მეჭირა, როცა სპეცნაზმა შემოუტია, ბიჭებმა ნელ-ნელა უკან დავიხიეთ, ჰაერში ტყვიები ზუზუნებდა, გაზი თავის საქმეს აკეთებდა, ხალხის ტალღამ სცენის უკან გამიტაცა და ლიდერების გვერდით აღმოვჩნდი, ორივე მხრიდან სპეცნაზი გვიტევდა, რუსთაველის მხარეს გზა გახსნეს და ხალხმაც იხუვლა, ნონა გაფრინდაშვილი წაიქცა, ვიღაცა მის წამოყენებას ცდილობდა, მაგრამ უკანა რიგი მოაწვა და ქალბატონი ნონა გადათელეს, მოკლედ ყველანი შეგვრეკეს რუსთაველში, სპეცნაზმა, ეტყობა, შეგნებულად ჩვენ სხვა გზა არ დაგვიტოვა, თავი მოვიყარეთ დარბაზში, სადაც რაღაც ფილმი გადიოდა, დაახლოებით 150-მა კაცმა, ქალბატონი ნინო სპეცნაზის მის მანქანასთან მოახლოებამდე უარს ამბობდა მანქანაში ჩაჯდომაზე, მაგრამ როცა სპეცნაზი 10 მეტრში მივიდა, დაცვამ ძალად ჩასვა.



ერთი მხარე კარები ჩავკეტეთ და მეორე მხარე ღიად დარჩა დაახლოებით 15 წუთში პირველმა სპეცნაზელმა თავი შემოყო და დანარჩენებს დაუძახა, ბიჭებმა დაუყვირეს, ქალები არიან დარბაზში და გაზი არ შემოუშვათო, შემოცვივდა სპეცნაზი, რამდენიმე ადამინმა დაიყვირა, ჩვენ კინოში ვიყავით და აქციასთან შეხება არ გვაქვსო – მაშინ ბილეთები წარმოადგინეთო, დაახლოებით 30-მა ადამიანმა ბილეთის წარმოდგენა შეძლო და ისინი გაუშვეს, პირველად ლიდერებს მიადგნენ – გოგი ქავთარაძეს პირდაპირ სახეში ჩაარტყეს ხელკეტი, სოსო ჯაჭვლიანი გაიყვანეს, შაშიაშვილიც, კურტანიძეს როცა ხელი შეახეს, ამ ბიჭმა მაგრა იბრძოლა, სამჯერ დააგდეს ვანოს ბიჭებმა, მაგრამ კურტანიძემ ირგვლივ ყველა დაასახიჩრა, მესამე წამოდგომაზე დაახლოებით 20 სპეცრაზმელი მივარდა და ჩაძოლეს – მერე უკვე გაათრიეს.

ადამიანების წამება პირველი რიგებიდან დაიწყო, ეკითხებოდნენ რომელი რეგიონიდან იყვნენ წარმოდგენილი და ჩამოსულებს ორმაგად ცემდნენ, ხელკეტებს პირდაპირ სახეში ურტყამდა რამდენიმე ადამიანი, დარბაზში დაახლოებით 100 სპეცრაზმელი იმყოფებოდა, ჩემამდე დაახლოებით 15 წუთში მოაღწიეს (მეხუთე რიგში ვიჯექი), მომვარდა 2 სპეცრაზმელი და უმოწყალოდ ცემა დამიწყეს, პირველი ტალღის შემდეგ თავზე ხელები დამაკრეფინეს და სადაურობა გამომკითხეს. როცა ხელკეტი მომილირა ერთ-ერთმა, ჯიბეში სანთელი დამინახა, ამომილო ჯიბიდან და მითხრა – სანთელის გამო ხელს არ დაგარტყამო. გვერდით მდგომმა სპეცრაზმელმა ჯიბეში ხელი ჩამიყო და ფული ჯიბესთან ერთად ამომგლიჯა (ჯიბეში 300 ლარამდე მქონდა), მიყვირა, ბურჯანაძესთან ფულს აკეთებო და უმოწყალოდ მცემა, უკნიდან ვიღაცა შეუსვენებლივ თავში მირტყამდა სკამზე მჯდომარეს, ბოლოს კეფაზე ბატინკის კბილები ვიგრძენი, ჩემთან რომ მოამთავრეს, სკამებზე გადაბიჯებით ქვემოთ წასვლა მიბრძანეს, მეორე რიგამდე ჩავედი და მიბრძანა, რიგებშუა გავსულიყავი, რომ დარბაზი დამეტოვებინა, სულ დამავიწყდა ხელები ჯერ კიდე მეხუთე რიგში თეთრი პლასტმასის ხელბორკილით შემიკრეს, ერთი უკან მომდევდა და განუწყვეტლივ თავში და გვერდებში ხელკეტს მირტყამდა, კიბეებზე ჩასვლის დროს მამაო ამოვიდა და სპეცრაზმელს ჩემი ცემის შეწყვეტა სთხოვა: სპეცრაზმელმა უხეშად მიუგო – შენს საქმეს მიხედეო, ქვემოთ ჩამიყვანეს ფოიეში და მუხლებზე დამაყენეს, იატაკი გატეხილი მინით იყო დაფარული, როცა მიმათრევდნენ, ფეხსაცმელები გამძვრა. მეორე მამაო ახლოს მოვიდა და ვთხოვე სანთელი ჯიბიდან ამოეღო – მამაომ თხოვნა შემისრულა, სპეცრაზმელმა მიბრძანა წამომდგარიყავი და ავტობუსისაკენ დავძრულიყავი, რომელიც 15 მეტრში იდგა, მე ვთხოვე, ფეხზე არ მაცვია და გვერდითი კარებიდან გავსულიყავით, ამაზე სპეცრაზმელმა უმოწყალოდ მცემა, შემათრიეს ავტობუსში, ჩამაგდეს გასასვლელში.

პატარა ავტობუსში 30 კაცამდე ვიყავით, თავების ჩაღუნვა გვიბრძანეს, ეს ყველაფერი მიმდინარეობდა ადამიანების ბღავილის და სპეცრაზმელების ღრიალის ფონზე, სულ დედას გვაგინებდნენ, რუსეთის აგენტებს გვიწოდებდნენ, ავტობუსი დაიძრა და დაახლოებით 20 წუთში მთავარ სამმართველოსთან მივიდა, ჩამოგვყარეს ავტობუსებიდან ცემა-ტყეპით და ჩაგვამწკრივეს.

ძლიერი წვიმა იყო, ნახევარზე მეტი უფეხსაცმლოდ ან ერთი ფეხსაცმლით ვიყავით. თავის აწევის საშუალებას არ გვაძლევდნენ, იყვნენ ძლიერად დაშავებულები, სამმართველოდან პატრულის ბიჭები ამოვიდნენ. ბიჭებმა სთხოვეს, დაჭრილებს და მაგარ ნაცემებს დახმარებოდნენ, ზოგიერთმა ხელზე ხელბორკილების მოშვება სთხოვეს, პატრულის ბიჭები კარგად იქცეოდნენ და მაქსიმალურად ცდილობდნენ, ბიჭებს დახმარებოდნენ, ერთი საათი კოკისპირულ წვიმაში გვამყოფეს და მერე შეგვიყვანეს შენობაში, ბიჭების დანაწილება დაიწყეს სართულების მიხედვით.

მე მეხუთე სართულზე ამიყვანეს, როგორც შევნიშნე, ეს სართული ნილზიანების სამფლობელო იყო. ამ სართულზე ამოიყვანეს მურმან დუმბაძე, უმოწყალოდ ნაცემი და ოთახში შეათრიეს, როგორც მესმოდა, მას რაღაც დოკუმენტზე ხელის მოწერას სთხოვდნენ მან კი უარი უთხრა, დაუწყეს უმოწყალოდ ცემა, რამდენიმე წუთის შემდეგ მისი დასისხლიანებული სხეული გამოათრიეს. ამ დროს ჩვენ დანარჩენი პოლიციელები და სპეცრაზმელები უმოწყალოდ გვცემდნენ, ძალიან ერჩოდნენ ახალგაზრდა ბიჭებს, სამი ბიჭი ოთახში შეათრიეს, ხელკეტებზე პრეზერვატივები ჩამოაცვეს და ჩვენს თვალწინ გააუპატიურეს.

როცა ამ წერილს ვწერ, ძალიან მიჭირს ამის გახსენება, ტიროდა ვაჟკაცი ხალხი, რამდენიმე კაცი გამოგვათრიეს, ბიჭებმა ერთმანეთს გადავულაპარაკეთ, თუ ოთახისაკენ წასვლა მოგვიწევდა, ფანჯრიდან გადავმხტარიყავით, მაგრამ მეშვიდე სართულზე აგვიყვანეს. იქ დერეფანში დაახლოებით 100 კაცი დაგვხვდა კოლონებად დაწყობილი, ყველა უმოწყალოდ იყო ნაცემი. დაიწყეს გამოცხრილვა, ვისაც სურათში ამოიცნობდნენ ხელკეტით ხელში, პირდაპირ ორთვიანზე უშვებდნენ, დანარჩენებს ახალგაზრდა პოლიციელები გვაკითხავდნენ და დაკავების ოქმს აკეთებდნენ. დერეფანში აქტიურობდნენ ახალგაზრდა პოლიციელები დაახლოებით 22-დან 25 წლამდე, გავლა-გამოვლაზე კაცებს სცემდნენ, ამ სართულზე ახალგაზრდებს ერჩოდნენ ახალგაზრდები, მაგრამ აქ გაუპატიურება არ ყოფილა, ფეხები გამიშავდა, მაგრამ შენობაში მაინც თბილოდა.

როცა გათენდა, პოლიციელები არ ეყოთ და თბილისის ზღვის ტერიტორიის ახლოს აგვიყვანეს და დაგვყარეს 20-მდე ადამიანი (ღამით ინვალიდები და 45 წელს გადაცილებულები გაუშვეს)...

ახლა სახლში ვწევარ და ვცდილობ, ყველაფერი დავივიწყო, მაგრამ იმ სამი ახალგაზრდის დავიწყება ნაღდად გამიჭირდება.“

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განსჯა

# შეიქმნება დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია?



გვესაუბრება ადვოკატი ლია მუხაშავრია

**— ქალბატონო ლია, 26 მაისს პარლამენტის წინ მომიტინგეთა დაშლის შედეგები არა მარტო ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, Amnesty International-მა და სხვა რიგმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლებას 26 მაისს მომხდარი ინციდენტების გამოძიებისკენ მოუწოდეს. მომხდარის გამოძიების შესახებ ხელისუფლებას არაერთმა პოლიტიკურმა პარტიამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ მიმართა, მაგრამ ამ მიმართულებით ხელისუფლება ჯერ დუმილს ამჯობინებს.**

**არსებობს თუ არა ჩვენს კანონმდებლობაში იმის მექანიზმები, რომ საზოგადოების მოთხოვნით დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია შეიქმნას? და კიდევ, ვინ უნდა შექმნას ამგვარი კომისია და როგორი შეიძლება იყოს მისი უფლებამოსილება?**

— ცინცაბაძისა და გირგვლიანის საქმეებზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები სიცოცხლის დარღვევის უფლებას ეხება და ამ საქმეებზე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ქმედითი გამოძიება არ არსებობდა, როგორც ამას ევროსასამართლო მოითხოვს. ევროსასამართლომ პრაქტიკულად დაადასტურა, რომ საქართველოში არსებობს გამოძიების პრობლემა, ამიტომაც ჩვენ ახლა გამოძიების პრობლემაზე ვსაუბრობთ. აშკარაა, 26 მაისის მოვლენების გამოძიება უნდა წარიმართოს დამოუკიდებლად. 26 მაისის მოვლენების ობიექტურად გამოძიება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ საგამოძიებო კომისია ნამდვილად დამოუკიდებელი იქნება.

კომისიის დამოუკიდებლობა გულისხმობს იმას, რომ მასში შემავალი პირები არ უნდა იყვნენ საჯარო მოხელეები, არ უნდა იღებდნენ ანაზღაურებას ბიუჯეტიდან და სამსახურებრივად უნდა იყვნენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამსახურისგან. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანები იქნებიან ყოფილი მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები, საზოგადოებისთვის ძალიან ცნობილი ხალხი, ისინი, ვისაც საზოგადოება ნდობას უცხადებს, მათ კეთილსინდისიერებასა და მიუკერძოებლობაში ეჭვი არ შეაქვს. ამგვარი კომისიის შექმნა ერთჯერადად ხდება, იქმნება ერთი კონკრეტული საქმის გამოსაძიებლად. კომისიას ეძლევა ლეგიტიმური უფლება საქმის გამოსაძიებლად. ეს კი ნიშნავს, რომ მის ქმედებას ჰქონდეს სამართლებრივი შედეგები; ჰქონდეს მტკიცებულებების გამოთხოვისა და მოწმეების დაკითხვის უფლება. მას უნდა ჰქონდეს საქმის მასალების აკინძვისა და შემდეგ სასამართლოსთვის განსახილველად გადაგზავნის უფლება.

თუ საგამოძიებო კომისიას ამგვარი უფლებამოსილება ექნება და მასში შეირჩევიან ადამიანები, რომელთაც საზოგადოება ნამდვილად ენდობა, ანდობს ისეთი მნიშვნელოვანი საქმის გამოძიებას, როგორიც 26 მაისის დემონსტრანტების დარბევაა, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ ასეთი პრეცედენტი საქართველოში შედგება. თუმცა, ასეთი პრეცედენტები თანამედროვე სამყაროს ქვეყნებში ხშირად ხდება. ასეთი მაგალითები იყო როგორც ლათინური ამერიკის, ასევე ევროპის რიგ ქვეყნებში.

ჩვენ კანონმდებლობაში ამგვარი საგამოძიებო კომისიის შექმნის პირდაპირი მექანიზმები არ არსებობს, თუმცა თუ პარლამენტი თავისი დადგენილებით ასეთ კომისიას შექმნის, ამგვარი საგამოძიებო კომისიის შექმნა შესაძლებელია. პარლამენტს თავისი რეგლამენტით აქვს უფლებამოსილება, შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისია და ასეთი პრეცედენტები ჩვენ გვაქვს. თუ პარლამენტმა ამგვარი კომისია შექმნა, მან მისი რეგლამენტაციაც, ანუ მისი დებულებაც უნდა დაამტკიცოს. მასში უნდა იყოს აღნიშნული, რომ კომისია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე მოქმედებს და, შესაბამისად, მისი უფლებამოსილება ამის მიხედვით იქნება რეგულირებული. ასე რომ, საზოგადოებამ პარლამენტისგან 26 მაისის მოვლენების შესასწავლად დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის შექმნა უნდა მოითხოვოს.



**— საგამოძიებო კომისიის შექმნა ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ის საერთაშორისო კონვენციები, რომლებზეც საქართველოა მიერთებული, ავალდებულებს თუ არა ხელისუფლებას, თავად შექმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია?**

— იმ საერთაშორისო კონვენციებით, რომლებსაც საქართველო არის მიერთებული, ასეთი პირდაპირი ვალდებულება არ არის გათვალისწინებული. ამდაგვარი საგამოძიებო კომისიის შექმნა დიდწილად დამოკიდებულია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე. მაგრამ, ეს პოლიტიკური ნება შეიძლება არც წარმოიშვას, თუ საზოგადოება, თავისი მხრიდან, ამდაგვარ მოთხოვნას არ დააყენებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ეს საკითხი არასამთავრობო ორგანიზაციებმა დააყენონ და მედიამ გააშუქოს. უნდა მოვთხოვოთ პარლამენტს, მიიღოს გადაწყვეტილება საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნება იმის თქმის საფუძველი, რომ ხელისუფლება საზოგადოების აზრს ანგარიშს არ უწევს და საზოგადოებრივ ინტერესებს არ გამოხატავს.

**— ხელისუფლებამ მომიტინგეთა დაშლისას ძალას რომ გადაამეტა, ამის შესახებ, სახალხო დამცველის გარდა, არაერთმა ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება. ის საზოგადოებაც კი, რომლის აზრითაც, ხელისუფლებას აქცია უნდა დაეშალა, ხელისუფლებას ადანაშაულებს, რომ აქციის მონაწილეებს არ მიეცათ ტერიტორიის ნებაყოფილობით, მშვიდობიანად დატოვების შესაძლებლობა. გარდა ამისა, საუბარია სისასტიკეზე, რომლითაც სპეცრაზმელები აქციის მონაწილეებს უსწორდებოდნენ. ითვალისწინებს თუ არა ჩვენი კანონმდებლობა ამ ტიპის დანაშაულზე თუ გადაცდომაზე რაიმე სახის ზომების მიღებას?**

— თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც ადამიანებს სიცოცხლეს უკანონოდ ართმევენ და არ იყო ამისი კანონიერი აუცილებლობა, უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი. გარდა ამისა, იყო მასობრივი არეულობის მოწყობის და ადამიანთა მასობრივი დაზარალების ფაქტები. ყველაფერ ამას კანონის მუხლები შესაბამისად არეგულირებს. სამწუხაროდ, ახლა ხელთ არ მაქვს კოდექსი, რომ ეს მუხლები მივუთითო და ვთქვა, რომელ კონკრეტულ შემთხვევას რომელი კონკრეტული მუხლი მიესადაგება. თანაც, ამის გაკეთება მხოლოდ ყოველი კონკრეტული საქმის კვალიფიციურად გამოძიების შემდეგ არის შესაძლებელი.

**— თუ ხელისუფლებას ჰქონდა ის მასალები, რომელსაც ტელევიზიები ახლა აჩვენებენ და, სადაც საუბარია ამა თუ იმ პირთა რუსეთის სპეცსამსახურთან კავშირზე, რატომ არ გაავრცელა ისინი ხელისუფლებამ 26 მაისამდე და, გარკვეულწილად, პრევენციული ღონისძიებები რატომ არ გაატარა?**

— რა თქმა უნდა, ხელისუფლებას უნდა მოეხდინა დანაშაულის პრევენცია. მაგრამ რაკი ეს არ მოხდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხელისუფლება ჩასაფრებულ პოზიციაში იყო. თუკი მას ჰქონდა სრული ინფორმაცია, რომ ქვეყანაში ვიღაც სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს ან მათი გეგმები იყო სრულიად არაკონსტიტუციური, მაშინ გაუგებარია, ვისაც ეს მიეწერება, რატომ არის ის თავისუფლებაში. ჩვენ ხელისუფლების მხრიდან მსგავს განცხადებებსა და მტკიცებებს პირველად არ ვისმენთ. იგივე ბრალდებები იყო 7 ნოემბერს. მიუხედავად ამისა, არც ერთი საჯაროდ დამნაშავედ გამოცხადებული პირი მაშინ არ იქნა პასუხისგებაში მიცემული. ხელისუფლება თავის მიერ შექმნილი ფილმით მაშინაც ამტკიცებდა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა. ახლაც ისეთი პირი უჩანს — ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მთლად ასე არ არის. სამწუხაროდ, ხელისუფლება ერთსა და იმავე სცენარს უკვე მერამდენეჯერ იმეორებს.

**კობა ბენდელიანი**
**„ინტერპრესნიუსი“**

ცხელ გულზე

## ბრწყინვალებამ დაბრმავება იცის?..

**რამდენიმე გარემოებას შევეხები 26 მაისის ამბებთან დაკავშირებით; როგორ დავიჯერო, რომ ბრწყინვალების ორდენით იმ 15 დაჯილდოებულიდან, ვინც აღლუმზე ჩამწკრივდა პრეზიდენტს ხელიდან ჯილდოს მისაღებად, თუნდაც ერთმა არ იცოდა, ღამით რაც მოხდა? და რაკი ეს დაუჯერებელია, ვინმეს როგორ არ გაუჩნდა პროტესტის გრძნობა? ეგენი არიან გაბრწყინების ღირსი? რა, ბრწყინვალებამ გაბრუება და დაბრმავება იცის და „ნე ვიჟუს“ პოზიცია არჩიეს? რა პირითა და მკერდით აპირებენ ამ „მიხეილის ღამის“ შემდეგ იმავე მიხეილის ხელიდან მიღებული ორდენის ტარებას? პატივმოყვარეობა უპირველეს ყოვლისა?..**

**ჩემთვის განსაკუთრებით საწყენია, რომ ჯილდოს ჩამომრიგებლის „შემცინებელთა“ შორის აღმოჩნდნენ ევროპული დემოკრატიის ტრადიციებსა თუ პრინციპებზე საფრანგეთში აღზრდილი შთამომავალნი ნოე ჟორდანიასი და კიდევ პოეტ ტარიელ ჭანტურია, რომლის პოეტურ ნიჭსა და ენამახვილობას პატივს ვცემდი, რომელიც მაღალი მოქალაქეობრიობის მატარებელი მეგონა.**

**დაბოლოს: ნაცმოელნი დემოკრატიულობას იჩემებენ და იკვეხნიან. ეგ რანაირი დემოკრატიაა, თუ ხალხს იმ ღამით საავადმყოფოებში მოთავსებული დაშავებულებისა და იზოლატორებში გამომწყვდეული დაკავებულების ვინაობას არ ეუბნებიან და არ უმხელენ?..**

**ბერდია ბედოიძე**

პოზიცია

## თავისუფალი სიტყვის აღლუმი

**ეს აღლუმი, ისე როგორც ბევრი სხვა „საგმირო საქმე“ ჩვენი ხელისუფლებისა, საქართველოს ისტორიაში შევა. შევა მხუთავი გაზით, წყლის ჭავლით, რკინის ხელკეტებით, რეზინის ტყვიებით, მსხვერპლით, ადამიანთა გატაცებით, დეზინფორმაციის, ქილიკის არნახული აღზევებით ხელისუფლების მხრიდან.**

**არანაკლებ აღმაშფოთებელი გახლდათ ხილვა ადამიანთა მადლიერი სახეებისა, რომელთაც პრეზიდენტი აჯილდოვებდა...**

**მოქმედებდნენ თუ არა სწორად სახალხო კრების მესვეურნი? ჰქონდათ კი მათ მოქმედების ზუსტად განსაზღვრული გეგმა და რამდენად ფლობდნენ ისინი ქვეყანაში არსებულ სიტუაციას? რამდენად სწორად იყო მათი მოთხოვნა ხელისუფლების აუცილებელი შეცვლისა ერთ დღეში და როგორი გახლდათ მათი პასუხისმგებლობა? რამდენად გამართლებული იყო მათი უარი ხელისუფლების შეთავაზებაზე — აქციის სხვა ადგილზე ჩატარების შესახებ?**

**ეს, რასაკვირველია, სრულად არ ამართლებს ხელისუფლების უსასტიკეს სადამსჯელო მოქმედებას თავისი ხალხის, მშვიდობიანი აქციის მიმართ.**

**სააკაშვილმა თავისუფალი სიტყვის აღლუმი „წარმატებით“ ჩაიბარა!!!**

**ლონდა მდივანი**

ინფორმაცია

## 26 მაისის მოვლენები სახალხო დამცველმა უნდა გამოიძიოს და არა - პარლამენტმა

**ახალი მემარჯვენეების** ლიდერი დავით გამყრელიძე არ ეთანხმება „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ გახმოვანებულ ინიციატივას, 26 მაისის მოვლენების საპარლამენტო გამოძიების შესახებ.

— ახალი მემარჯვენეები სკეპტიკურად ვართ განწყობილები საპარლამენტო გამოძიებებთან დაკავშირებით. ჩვენი მოსაზრებაა, რომ სახალხო დამცველთან შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელიც გამოიძიებს 26 მაისის მოვლენებს. სახალხო დამცველთან იმიტომ, რომ ბოლო პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ ის არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი პიროვნება, — განაცხადა გამყრელიძემ.

მან ასევე ისაუბრა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ხელისუფლებასა და რვიანს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე.

გამყრელიძის თქმით, ამ მოლაპარაკებებზე და რვიანის მიერ ხელისუფლებისთვის შეთავაზებულ ვადაზე ამ ეტაპზე საუბარი არასერიოზულია.

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ ინფორმაცია



## მთავრობის მხრიდან უკანონობაზე სახალხო კრება განცხადებას ავრცელებს

**— მოგახსენებთ, რომ 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის ღამეს დაკავებული პირების უმეტესობას ისე მიესაჯათ სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული პატიმრობა, რომ ამის თაობაზე არც ოჯახის წევრებმა და არც მესამე პირებმა იცოდნენ. მართალია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 281 პრიმა მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ სასამართლოს დადგენილება გამოტანიდან 48 საათში შეიძლება გასაჩივრდეს, თუმცა ეს მუხლი თავისთავად მოიცავს გასაჩივრების შესაძლებლობის ვარაუდს, — ნათქვამია განცხადებაში და აღნიშნულია, რომ წინამდებარე შემთხვევაში ხსენებულ ვადაში გასაჩივრების შესაძლებლობა აბსოლუტურად არ არსებობდა. არ არსებობდა ინფორმაცია დაკავებულების ადგილსამყოფელის ან სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღის თაობაზე. „არ არსებობდა სასამართლოს მოტივაცია, თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო მან ეს გადაწყვეტილება, თუკი არ არსებობს კონკრეტული მოტივაცია, მის მართებულობა-არამართებულობაზე მსჯელობაც შეუძლებელია. ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ ასევე, კონკრეტულად თუ რა სამართალდარღვევის გამო იყვნენ პირები დაკავებულნი. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ გასაჩივრების ვადის გაშვება გამოწვეული იქნა დაკავებული მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რის გამოც ხსენებულ ვადაში დადგენილების გაუსაჩივრებლობა უნდა ჩაითვალოს საპატიოდ და გაუგრძელდეთ ხსენებული ვადა„.**

**„სახალხო კრება" მიმართავს უფლებადამცველ ორგანიზაციებს და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადვოკატებს გამოიჩინონ ძალისხმევა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.**

**— მივმართავთ უფლებადამცველ ორგანიზაციებს და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადვოკატებს, გამოიჩინონ ძალისხმევა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.**

**მივმართავთ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, განახორციელოს მონიტორინგი ამ კანონიერი უფლების აღდგენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა სხვა ნორმებთან ერთად დარღვეული იქნება სტრასბურგის — ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ქარტიის მიერ დადგენილი უმნიშვნელოვანესი ნორმა, — ნათქვამია განცხადებაში.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ პრობლემა

# ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის საყოველთაო მოძრაობა უნდა გაიშალოს...

**საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელიც ქართული ენის სიწმინდის დაცვას მიეძღვნა.**

**მაია კოპაძე-კვეზერელმა** აღნიშნა, რომ ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" უერთდება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 22 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ მიმართვას „ქართული ენა საფრთხეშია," რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ეგიდით გამართული კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს და გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მეცნიერებისა და განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრებს. „ამ მიმართვას მხარდაჭერა სჭირდება. ამიტომაც შევიკრიბეთ. ჩვენი ასოციაცია არა მარტო ქველმოქმედებას ეწევა, არამედ განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერისთვისაც იღწვის," — დასძინა მან.

**ნელი გურგენიძის აზრით,** კონფერენცია მწვავე იყო, საკითხი პირდაპირ ასე დაისვა: რატომ ვერ ვუვლით ქართულ ენას და რატომ მივაქანებთ მას დაკნინებისა და მორეხარისხოვან ენად გადაქცევისკენ? მისი თქმით, ზემოხსენებულ მიმართვას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ერთადერთი ზარი კულტურის სამინისტროდან გაისმა ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში, და სამწინადადებიანი, ზოგადი, არაფრისმთქმელი პასუხი მიიღეს.

ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქართული ენა, მართლაც, საფრთხეშია.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ყურადღებით გაეცნო ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის მიერ ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შედეგად პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს და მიმართვას ქართული ენის სიწმინდის დაცვის პრობლემათა შესახებ, რის გამოც ეს მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრა-დიალოგში მონაწილეობდნენ: ენათმეცნიერები, ფილოლოგები, პედაგოგები, ჟურნალისტები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

„მიგვაჩნია, რომ საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანი, დროული და მტკივნეულია, — განაგრძო ნელი გურგენიძემ, — მშობლიური ენის სიწმინდეზე ზრუნვა საზოგადოების თითოეული წევრის ვალია. პრობლემა კომპლექსურია და მისი მოგვარებისთვის აუცილებელია ქართული ენის დაცვისა და განვითარების სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. ეს პოზიცია გამოწვეულია და გამყარებულია იმ რეალობით, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს **სახელმწიფო ენის დაცვის პოლიტიკა**. პირიქით, აშკარად და საოცარი თვითდინებით ენა ბინძურდება ბარბარიზმებით, ვულგარიზმით, ჟარგონებით, დიალექტებით, ბილწსიტყვაობით."

**შუქია აფრიდონიძე, ილიას უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი:** „ცნობილია, რომ ჟურნალისტიკას დღეს მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ, რაც ნიშნავს ჟურნალისტიკის დიდ შესაძლებლობებსა და გავლენას საზოგადოებაზე. თუ ამ გამოთქმას გავიაზრებთ ჟურნალისტების ენასთან დაკავშირებით, გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ მათი უმრავლესობის ლექსიკური სიმწირე, გაცვეთილი ფრაზეოლოგია, ყალბი, არაბუნებრივი სიმწირე, ფსევდოინგლისური თუ ამერიკული ინტონაცია... სწრაფი მეტყველება ლოგიკური მახვილების გარეშე...

მეტიც უნდა ითქვას: ამჟამად გავრცელებული ზოგი ენობრივი შეცდომა მხოლოდ და მხოლოდ ტელეჟურნალისტების „დამსახურებაა" (მაგალითად, „მადლობა მოუხადა," „გადაუხადა"-ს ნაცვლად. „ნება იბოძეთ," უნდა იყოს — „კეთილი ინებეთ"...ძ



ენობრივი სიმწირის წყარო არასაკმარის განათლებაშია. ამიტომ პირველი და მთავარი პრობლემა ჩვენი ჟურნალისტების განათლებაა. ქართველ ჟურნალისტებს დიდი მუშაობა მართებთ ამ ხარვეზის ამოსავსებად. ვფიქრობ, სერიოზული კონკურსი უნდა გაიარონ, განსაკუთრებით ტელეჟურნალისტებმა, რადგან ტელევიზიის გავლენა საზოგადოებაზე დიდია.

მეორე პრობლემა — დარგობრივი ჟურნალიზმის განვითარებაა. ფაქტია, რომ ჩვეულებრივი ჟურნალისტები არათუ ვერ ამზადებენ პროფესიულ გადაცემას ამა თუ იმ სფეროში — იქნება პოლიტიკა, ეკონომიკა, ხელოვნება თუ სპორტი, არამედ კითხვებს სწორადაც ვერ უსვამენ. ამ მხრივაც საჭიროა კადრების შერჩევა.

ამასთანავე, საქმეს ვერ შველის მხოლოდ ინტერვიუები. ქართულ მედიას აკლია ჟურნალისტთა მიერ მომზადებული ანალიტიკური გადაცემები. და კიდევ, ერთი ნაკლოვანება — ობიექტურობის ნაკლებობა. ხშირად კითხვების მიხედვით ჩანს, რომ ჟურნალისტი მხარეა.

ჟურნალისტი მაშინაა ობიექტური, როცა ვერ მიხვდები, მხარეა თუ არა.

**მარიამ ცაცანაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:** „იუნესკოს ოფიციალური განცხადებით, მსოფლიო მასშტაბით მრავალფეროვან ენობრივ კულტურათა ღირებულებებს შეუწყნარებლობის, დეგრადაციის, გაქრობისა და რღვევის სერიოზული საფრთხე ემუქრება, ქართველ მეცნიერთა აღიარებით კი იაკობ გოგებაშვილის „დედაენა" ქართული კულტურის ისტორიაში არის აღმოჩენა, ეპოქალური მიგნება, სწავლების უნიკალური მეთოდი, რომელიც დღეს საფრთხის წინაშე იმყოფება!

ორგანიზაცია „მე — უნივერსიტეტელმა" და „დაიცავი საქართველომ" იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" კულტურულ მემკვიდრეობად აღიარების დეკლარაციაზე მოაწერეს ხელი. იწყებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს, რათა მიმართონ იუნესკოს „დედაენის" კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებისთვის.

2003 წელს მიღებული საერთაშორისო კონვენცია „არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის" შესახებ გვეუბნება, რომ ხალხია უფლებამოსილი, ტრადიციები და პრაქტიკა საკუთარ მემკვიდრეობად აღიაროს. ქართულმა საზოგადოებამ დეკლარაციაზე ხელმოწერით უნდა გამოხატოს ნება, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენა" გამოცხადდეს კულტურულ მემკვიდრეობად. 2007 წელს საქართველომ, ასევე, მიიღო კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ," რომელიც ასევე ითვალისწინებს არამატერიალური კულტურული ძეგლის დაცვას.

ხელმოწერების შეგროვება უკვე დაიწყო ბათუმის უნივერსიტეტში, ქუთაისში და თელავში, საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან და გაგრძელდება ქვეყნის მაშტაბით."

**თამარ დარჩიაშვილი, ფილოლოგი:** „იუნესკო უფლებას გვანიჭებს, მაგრამ მოვალეობა ჩვენ გვეკისრება. ამით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ თითოეული მოქალაქის შეგნება უფრო დაიცავს ენის სიწმინდეს, ვიდრე საკანონმდებლო აქტები. თუმცა ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ყველას კარგად გვესმის.

შეგნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სკოლას, სკოლაში საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მიზანმიმართულ სწავლებას ენიჭება. დგება ქართული სამყაროს, ქართული ენის პრესტიჟულობის საკითხი, რასაც კლასიკური ლიტერატურის, მშობლიურისა და ნათარგმნის ცოდნა ასაზრდოებს.

სიტყვით გამოვიდნენ ქალბატონები: **ირინა ღლონტი, მერი ჯაფოშვილი, ნაირა ალავერდაშვილი...**

დისკუსიის მონაწილეებმა შეიმუშავეს მიმართვა, რომელიც გაეგზავნა: საქართველოს პრეზიდენტს **მიხეილ სააკაშვილს**; პარლამენტის თავმჯდომარეს **დავით ბაქრაძეს**

**„ვუერთდებით მწიგნობართა ასოციაციის მიერ საჯაროდ გაცხადებულ შეშფოთებას — „ქართული ენა საფრთხეშია!"**

**ჩვენს ასოციაციაში გამართულ შეხვედრა-დიალოგზე ჩამოყალიბებულ კონკრეტულ მოსაზრებათა და წინადადებებიდან გამომდინარე, გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს სახელმწიფო კომისიის მიერ განხილვისათვის:**

**— თორმეტწლიანი სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და სწავლის დაწყება 5 წლის ასაკიდან ერთდროულად ქართულ და უცხო (ინგლისურ) ენაზე ყოვლად გაუმართლებლად და სწავლა-აღზრდისათვის საზიანოდ მიგვაჩნია. ამის სასწრაფოდ მოგვარებაა საჭირო.**

**— მაგისტრანტებისა და ბაკალავრებისათვის დიპლომის მინიჭება მხოლოდ იმის შედეგად, როდესაც ისინი ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდას ინგლისურ ენაში, აგრეთვე სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო თუ საკვალიფიკაციო ნორმები, რომელთა მიხედვითაც უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენას, მიგვანიშნებს ტენდენციას მშობლიური ენის მეორეხარისხოვან ენად გადაქცევისაკენ. ასეთი გადაწყვეტილებები უნდა გაუქმდეს.**

**— საჭიროა შეიქმნას ქართული სალიტერატურო ენის სტანდარტების დაცვის საბჭო, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს მედიაში, სარეკლამო და სახელმწიფო დოკუმენტებში სტანდარტების დაცვაზე.**

**— უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ არაერთგზის გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სკოლებში სწავლის დაწყებიდან დამთავრებამდე ანალიტიკური აზროვნების კურსი უნდა ისწავლებოდეს.**

**— ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს წინადადებას „დედა ენის" კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებისა და მისთვის უალტერნატივო სახელმძღვანელო სტატუსის მინიჭების შესახებ ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეთათვის.**

**მიზანშეწონილად მიგვაჩნია: 1) პერიოდული კონკურსების მოწყობა საუკეთესო ტელედიქტორთა და კომენტატორთა შესარჩევად, რისთვისაც პრიორიტეტი იქნება მეტყველების კულტურა. 2) ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ენის სიწმინდის საკითხებზე სპეციალური გადაცემების (თუნდაც ხანმოკლე) აღდგენა, ან ახალი ტიპის გადაცემების შემოღება. 3) დარგობრივი ჟურნალისტიკის დანერგვა ტელევიზიაში და თითოეული მიმართულებით მაღალკვალიფიციური ანალიტიკური გადაცემების მომზადება" — აღნიშნულია მიმართვაში.**

თამარ შაიშმელაშვილი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული ოპოზიციის პროტესტის მონაწილეებთან ანგარიშსწორების შედეგები

**26 მაისს ღამეს თბილისში მოხდა ქართული ოპოზიციის წარმომადგენელთა შეტაკება პოლიციასთან: სამხედრო აღლუმის წინ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით პოლიციამ გაათავისუფლა ქუჩები დემონსტრანტებისგან. საპროტესტო დემონსტრაცია საქართველოში იშვიათი როდია, და მასთან ანგარიშსწორებაც ყველაზე მკაცრი არ ყოფილა უკანასკნელ წლებში.**

შეტაკებამ ძნელად რომ მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოში საშინაო პოლიტიკურ სიტუაციაზე, ისევე, როგორც მის დამოკიდებულებაზე რუსეთთან (თუნდაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთს სდებდეს ბრალს დემონსტრაციების ორგანიზებაშიძ. მაგრამ ამ დარბევასთან დაკავშირებით საქართველომ შეიძლება იგრძნოს ზემოქმედება.

26 მაისს, სულ რამდენიმე საათით ადრე მანამ, სანამ უნდა გამართულიყო სამხედრო აღლუმი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, რაც დანიშნული იყო 26 მაისის დილისთვის, საქართველოს დედაქალაქ თბილისში მოხდა პოლიციის შეტაკება ქართული ოპოზიციის წარმომადგენლებთან, რომლებიც გამოვიდნენ ქუჩაში პროტესტის ნიშნად. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, შეტაკების დროს მოკლეს ორი კაცი (მათ შორის ერთი პოლიციის ოფიცერიძ და დააკავეს დაახლოებით 90 კაცი. პოლიციამ შეძლო მიტინგის დარბევა, და სამხედრო აღლუმი, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გაიმართა ზუსტად დანიშნულ ვადაში.

უწესრიგობა ატარებდა საკმაოდ შეზღუდულ ხასიათს და იგი ძნელად რომ წარმოადგენდა მნიშვნელოვან საფრთხეს სააკაშვილის ხელისუფლებისთვის: ამგვარი საპროტესტო აქციები საქართველოში იშვიათი როდია. მაგრამ ამ დროს, რაც არ ჰგავს იმას, რომ ეს შეტაკებანი ზიანს მიაყენებენ თბილისის ურთიერთობას მოსკოვთან, მკაცრმა ზომებმა დემონსტრაციის დარბევის დროს შეიძლება გამოიწვიოს დასავლეთის დაძაბული ურთიერთობა საქართველოს მთავრობასთან.

25 მაისი იყო ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციების მეხუთე დღე. დემონსტრაციები, რომლებიც მიმდინარეობდა ოპოზიციის ლიდერის ნინო ბურჯანაძისა და სხვა აქტივისტების ხელმძღვანელობით, გახდა მორიგი ეპიზოდი იმ ბრძოლის მსვლელობის დროს, რომელიც მიმდინარეობდა თითქოსდა სააკაშვილის ზეგავლენის წინააღმდეგ ოპოზიციის წევრებზე, ჟურნალისტებზე და სხვა ელემენტებზე. ისინი მოუწოდებდნენ პრეზიდენტის ხელისუფლებას გადადგომისკენ. საპროტესტო აქციის დაწყების დროს, 21 მაისს მასში მონაწილეობას ღებულობდა ხუთი-ათი ათასი კაცი. შემდეგ დემონსტრანტების აქტივობა შენელდა, მაგრამ კვლავ გაძლიერდა უშუალოდ სამხედრო აღლუმის ჩატარების წინ, რომლის მომზადების პროცესშიც საქართველოს პოლიციამ მკაცრად დაარბია დემონსტრანტები.

მართალია, შეტაკების დროს დაიღუპა ორი კაცი და ათობით დაიჭრა, სიტუაცია მთლიანად ნაკლებად მძიმეა, ვიდრე ეს იყო 2007 წელს საქართველოში დემონსტრანტებთან ანგარიშსწორების დროს. უფრო სწორად, საპროტესტო აქციები კიდევ ერთხელ ავლენდნენ საქართველოში ოპოზიციური მოძრაობის გათიშულობასა და სისუსტეს, რომელმაც ვერ შეძლო შეეკრიბა რამდენიმე ათეული ათასი კაცი, როგორც ეს მოხერხდა 2009 წელს, ოპოზიციის გავლენის პიკში. სააკაშვილმა, ოპოზიციის მნიშვნელობის დამცირების მიზნით, დემონსტრაციების ორგანიზებაში ბრალი დასდო საგარეო ძალებს, მხედველობაში ჰქონდა რუსეთი, რომელთანაც საქართველოს ჰქონდა ომი 2008 წლის აგვისტოში და ვისი ჯარებიც ამჟამად განთავსებულია საქართველოსგან გამოყოფილ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე.



საერთოდ და მთლიანად, გამართული საპროტესტო დემონსტრაციები და მის შედეგად განხორციელებული რეპრესიული ზომები ძნელად რომ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას საქართველოში საშინაო პოლიტიკურ სიტუაციაზე: სააკაშვილის პოპულარობა ძველებურად დიდია, და მის რეჟიმს ამჟამად არაფერი განსაკუთრებული არ ემუქრება. ძნელად რომ ამ მოვლენებმა რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საქართველოს ურთიერთობაზეც რუსეთთან, მიუხედავად სააკაშვილის საუბრებისა მოსკოვის ჩარევის შესახებ და ოფიციალურ ზემოქმედებაზე რუსეთის საგარეო საქმეთა ოფიციალურ განცხადებაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ მიტინგზე მოხდა „ადამიანის უფლებათა აღმაშფოთებელი დარბევა, რომელიც მოითხოვს გამოკვლევას საერთაშორისო დონეზე“. ასეთ ზემოქმედებას სააკაშვილზე კიდეც რომ მიეღწია იმ დონემდე, რაც მას აიძულებდა დაეტოვებინა თავისი პოსტი, საქართველო, მეტად საალბათოა, რომ ახალი ლიდერის დროს შეინარჩუნებდა პროდასავლურ ორიენტაციას თავის საგარეო პოლიტიკაში – დიდი სურვილი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისა ქვეყანაში არ შეიგრძნობა და უმაღლეს პრიორიტეტად რჩება მისწრაფება დაიბრუნონ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ტერიტორიები.

მაგრამ ეს რეპრესიები აიძულებენ დასავლეთს, განსაკუთრებით ევროპის კავშირს, მოახდინოს ზეგავლენა საქართველოს მთავრობაზე. საქართველო ინტეგრაციას ევროპასთან მიიჩნევს თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად საგარეო პოლიტიკაში. იგი მიისწრაფვის წევრობისკენ დასავლურ ორგანიზაციებში, ისეთებში, როგორებიცაა ევროკავშირი და ნატო, ცდილობს შეუერთდეს დასავლეთის ქვეყნებს და უზრუნველყოს თავისი უშიშროება რუსეთთან დაკავშირებით. თავის მისწრაფებაში – მოახდინოს ორიენტირება დასავლეთზე – საქართველო იცავს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დასავლურ სტანდარტებს, ამ დროს მართვის სტილი ქვეყანაში მას ხდის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად: ცენტრალიზებული, ნახევრად ავტორიტარული მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერს სახელმწიფო უშიშროების ძლიერი აპარატი.

ეს ნიშნავს, რომ, მიუხედავად სააკაშვილის მიერ განხორციელებული ეკონომიკური და იურიდიული რეფორმების სერიისა დასავლეთთან ინტეგრაციის მიზნით, იგი მაინც მეტად ფრთხილად ეპყრობა იმას, რომ დაუშვას ოპოზიციის ძალების არსებითი ჩართვა სამთავრობო სტრუქტურებში, და მზად არის მკაცრად დათრგუნოს ისინი, ვინც მას არ ეთანხმებიან.

უკანასკნელ დღეებში ოპოზიციის წარმომადგენელთა დემონსტრაციების დარბევა წარმოგვიდგენს რთულ სიტუაციას, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო, როდესაც საქმე მივიდა იმის აუცილებლობამდე, რომ შეანელონ მისი დასავლური ამბიციები ქვეყანაში საშინაო და საგარეო უშიშროების შენარჩუნების მიზნით. ეს არის გამოწვევა, რომელსაც თბილისი უახლოეს მომავალში თავს ვერ გაართმევს.

STRATFOR Global Intelligence

# რა ელოდება აფხაზეთს უბალაფშოდ?

**პრეზიდენტის გარდაცვალებამ უამრავი პრობლემა შექმნა. ქვეყანა აბსოლუტურად არ არის მზად როგორც მორალურად, ისე საერთოდაც პოლიტიკური პერეტრუბაციებისთვის.**

მოსკოვში 62 წლის ასაკში გარდაიცვალა აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში. მას 21 მაისს მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გაუკეთეს ოპერაცია. ექიმები, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, ვარაუდობდნენ, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ მოგვიანებით პოლიტიკოსი უფრო ცუდად გახდა, ის გადაიყვანეს რეანიმაციაში და რამდენიმე უკანასკნელი დღე ხელოვნურ კომაში გაატარა. კვირას დილით სერგეი ბაღაფში გარდაიცვალა.

აფხაზეთისთვის ეს იყო მართლაც მეტად მოულოდნელი სამწუხარო ახალი ამბავი. რესპუბლიკა აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ დანაკარგისთვის. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში იყო უამრავი ერთიმეორის საწინააღმდეგო ინფორმაცია პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, აგრეთვე ოპერაციის შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გაუკეთდა. იყო ცნობები იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობა გაუარესდა, შემდეგ აფხაზეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ყველაფერი თითქოსდა ნორმალურადაა, სიტუაცია სტაბილური ხდება, და უეცრად ასეთი გამაოგნებელი ახალი ამბავი.

რასაკვირველია, პრეზიდენტის გარდაცვალებამ უამრავი პრობლემა შექმნა, ქვეყანა აბსოლუტურად მოუმზადებელია არა მხოლოდ მორალურად, არამედ საერთოდაც პოლიტიკური პერტუბაციებისთვის. და ახლა ყველას ესმის, რომ სტაბილურობა წავიდა პრეზიდენტ ბაღაფშთან ერთად. იმის გათვალისწინებით, რომ სამი თვის განმავლობაში უნდა გაიმართოს პრეზიდენტის არჩევნები, ყველა უკიდურესი შიშით ელოდება, თუ რა მოხდება საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში პრეზიდენტის ახალი არჩევნების გამო, იმ რეალური ლიდერის არარსებობის პირობებში, რომელიც შეცვლის სერგეი ბაღაფშს ამ პოსტზე და ეჭვი აქვთ, რომ შეიძლება ამან გამოიწვიოს რესპუბლიკაში მკვეთრი დესტაბილიზაცია.

მაგრამ ამჟამად მთელი პოლიტიკური ელიტა, მთელი ქვეყანა გლოვობს, დროშები დაბლაა დახრილი, არსად გაისმის მუსიკა. ასეთი წყნარი ქალაქი დიდი ხანია, არ ყოფილა. ელოდებიან, რომ მოსკოვში დამშვიდობების შემდეგ პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის ცხედარს აფხაზეთში ჩამოასვენებენ. ოთხშაბათს სოხუმში, ფილარმონიის შენობაში გაიმართება გამოთხოვება პრეზიდენტთან და იმავე დღეს მას გადაიყვანენ მშობლიურ სოფელ ჯგერდაში ოჩამჩირის რაიონში, სადაც ხუთშაბათს პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშს მიწას მიაბარებენ.

Эхо Кавказа

# სააკაშვილმა თბილისში უწესრიგობებთან რუსეთის მონაწილეობაზე მიანიშნა

**საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს რთულ და კრიტიკულ პოლიტიკურ სიტუაციაში. ახალი მიტინგი პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ მკაცრად დაარბიეს. ორი კაცი დაიღუპა. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ უწესრიგობანი არის საბოტაჟის მცდელობა რუსეთის მთავრობის მხრიდან.**

კარლოს ფრანგალინიო, კორესპონდენტი მოსკოვში: საქართველოს დედაქალაქში ღამის უწესრიგობის შემდეგ, რის შედეგადაც დაიღუპნენ ერთი პოლიციელი და ერთი მიტინგის მონაწილე, დაძაბულობა იზრდება.

ორმოცი კაცი დაშავდა და ოთხმოცდაათი დააპატიმრეს მიტინგის მკაცრი დარბევის შემდეგ პოლიციის ძალებით, რაც დაგმო ისეთმა სამართალდაცვის ორგანიზაციამ, როგორიცაა „ჰუმან რაიტს ვოტჩი“. ოპოზიციის პროტესტები გრძელდება თბილისის ქუჩებში გასული შაბათიდან და ისინი დაემთხვა ღონისძიებებს, რომლებიც ეძღვნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავს.

პროტესტის მონაწილეები მოითხოვენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომას, რომელსაც ბრალს სდებენ მეორე ვადით არჩევნების შედეგების ფალსიფიკაციაში, სახელმწიფოს ავტორიტარულ მართვაში, აგრეთვე სიღარიბესთან წარუმატებელ ბრძოლაში.

თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა დასავლური ქვეყნები, განაცხადა, რომ ეს უწესრიგობანი მოეწყო საზღვარგარეთიდან, რაც გადაკვრით რუსეთზე მიგვანიშნებს.

სააკაშვილს დაძაბული ურთიერთობა აქვს ამ სახელმწიფოსთან ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 2003 წელს – ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის გაუარესდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რომელიც, ფაქტობრივად, დამთავრდა საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის გამოყოფით.

rtve.es

## დედამიწის ზურგზე



**ნატომ შემთხვევით 12 ბავშვის დახოცვის შემდეგ ავღანეთს პატიება სთხოვა**

ნატოს ვერსიით, დაიღუპა მხოლოდ ათი კაცი. ნატოს სამი მაღალი თანამდებობის გენერლის განცხადებაში ნათქვამია, რომ კოალიციის მიზანია, თავიდან აიცილოს მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის და რომ ამგვარ შემთხვევებს ნატო განიხილავს მეტად სერიოზულად. თეთრმა სახლმა აგრეთვე განაცხადა, რომ აშშ ყველაფერს გააკეთებს, რათა თავიდან აიცილოს მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი ავღანეთში.

* * *

**საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზს ბრალი დასდეს დანაშაულებში კაცობრიობის წინააღმდეგ**



ორ ცნობილ ადვოკატს შეაქვს სარჩელი სასამართლოში სახელმწიფოს მეთაურზე ლიბიაში ოპერაციების გამო. ჟაკ ვერჟე და საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი როლანდ დიუმა გაოცებული არიან იმით, რომ „ნატოს ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას, ამჟამად გახდა მათი დაღუპვის მიზეზი“. ვერჟემ, რომელმაც ნატოს ქვეყნებს მკვლელები უწოდა, განაცხადა, რომ საფრანგეთის სახელმწიფოს „მართავენ შემთხვევითი ხალხი და მკვლელები“.

* * *

**გერმანიამ განაცხადა სრული უარი ბირთვულ ენერგეტიკაზე**




გერმანია გახდა პირველი მრეწველობის მხრივ განვითარებული ქვეყანა, რომელიც უარს აცხადებს ატომზე – ყველა ატომური ელექტროსადგური 2022 წლისთვის დაიხურება. საუბარი სრული უარის შესახებ ატომური ენერგიის გამოყენების შესახებ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაიწყო იაპონიაში 11 მარტის მიწისძვრისა და დამანგრეველი ცუნამის შემდეგ, რომლებმაც გამოიწვიეს ავარიები ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა“-ზე

* * *

**აფეთქება ბაზარში ნიგერიაში: დაიღუპა 12, დაიჭრა 25 კაცი**

ბაზრის მახლობლად არმიის ყაზარმებია. პოლიციას ჯერჯერობით არ გააჩნია ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ დგას ამ დანაშაულის უკან. ჯერჯერობით არავინ დაუპატიმრებიათ. აფეთქება გაისმა ქვეყნის პრეზიდენტის გუდლაკ ჯონატანის ინაუგურაციიდან რამდენიმე საათის შემდეგ.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◎ რა ხდება?

*ამ ბოლო დაახლოებით ორი-სამნახევარი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, თვე არ გავიდოდა ისე, მთავრობას რაიმე სახეობის ახალი ჯარიმა ან გადასახადი არ შემოეღო. თუ რატომ ხდებოდა და ხდება ასე, ძნელი მისახვედრი არ არის — როცა ქვეყანაში მრეწველობაც და სოფლის მეურნეობაც მხოლოდ მინიმალურ დონეზე თუ „სუნთქავს“, კერძო თუ იურიდიული პირების სხვადასხვა მიზეზით გაყვლეფა ხაზინის შევსების ზედმიწევნით მოსაწონი წყაროა. ტყუილად როდი გაიძახიან მავანნი — სინგაპურს, სინგაპურს უნდა დავემსგავსოთო, სადაც ქუჩაში გადაგდებულ სიგარეტის ნამწვზე კაცს, ვგონებ, იქაური ათასი დოლარით აჯარიმებენ (ამ ტიპის ჯარიმას, სხვათა შორის, ჩვენში უახლოეს მომავალში შემოიღებენ, თანაც დამჯარიმებლები „დამნაშავეს“ ადგილზევე „გაუსწორებენ ანგარიშს“. მერე ნახეთ თქვენ ამბავი!). მაგრამ ახლა გვინდა ყურადღება გავამახვილოთ არა იმდენად ბიუჯეტის შევსების წყაროებზე, რამდენადაც საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის თითქმის მიუწვდომელ გაუმჭვირვალობაზე.*

# უაზრო პარტნიორობის ჩიხი

ნებისმიერ ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის ლომის წილი საგადასახადო შემოსავალზე რომ მიდის, ეს, ალბათ, მხოლოდ წერა-კითხვის უცოდინარმა კაცმა თუ არ იცის. გადასახადების გადამხდელი კი მომუშავე ხალხია, ასევე საწარმოები, სხვადასხვა ორგანიზაციები და ა.შ. ამდენად, იმის ცოდნის უფლება, თუ როგორ იხარჯება საზოგადოებრივი სახსრები სახელმწიფო, საქალაქო თუ რაიონულ დონეზე, საზოგადოებრიობას, მის უკვლებლივ ყველა წევრს აქვს და ეს კანონშიცაა დაფიქსირებული. აღნიშვნით კია აღნიშნული, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, სახელმწიფო მოხელეები — ასევე ყველა დონეზე — შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ნებისმიერ შეკითხვას იგნორირებენ და ამ აბუჩად აგდებაზე კაცი პასუხსაც ვერანაირად ვერ აგებინებ. ვრცელდება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც ამა თუ იმ უწყებას გარკვეულ მიზეზთა გამო „აწყობს“.

მაგალითების მოსაძებნად შორს წასვლა ნამდვილად საჭირო არ არის — „ჟანრის კლასიკად“ კარგა ხანია იქცა პრეზიდენტისა და სარეზერვო ფონდების სოლიდური თანხების (მთლიანად 110 მილიონი ლარი) ხარჯვის პრაქტიკულად გაუმჭვირვალობა. კიდევ მრავალი სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ამჯერად ლაპარაკია პარლამენტის მიერ აპრილში დამტკიცებულ ახალ კანონზე საპარტნიორო ფონდის შექმნის თაობაზე, რომლის მოღვაწეობის სფერო აგრარული სექტორი უნდა იყოს. საქმე ის არის, რომ ფონდის იურიდიულ ფორმასთან, დაფინანსების წყაროებთან და მოღვაწეობის სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან დაკავშირებით, მისი დამტკიცებისთანავე ექსპერტებს მრავალი შეკითხვა გაუჩნდათ.

**მთავრობის ინიციატივით, საპარტნიორო ფონდი სააქციო საზოგადოების იურიდიული ფორმით იარსებებს. ფონდის დაფინანსების წყაროებად კანონში მითითებულია სახელმწიფოს ნაწილობრივი მონაწილეობით დაფინანსებული საწარმოების დივიდენდებიდან მიღებული სახსრები, საერთაშორისო ინსტიტუტებიდან მოზიდული გრანტები და ნაწილობრივ სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღებული თანხები. ამასთან, მთავრობა და პროექტში მონაწილე ბიზნესი მოღვაწეობის შედეგად მიღებულ მოგებას თანაბრად გაიყოფენ.**

ამასთან დაკავშირებით, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ გაურკვეველია, თუ ვინ უნდა იყვნენ ფონდის დამფუძნებლები და აქციონერები. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ჩვენი აზრით, ის გარემოებაა, რომ **საპარტნიორო ფონდის სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნება მეტად ხელსაყრელია საიმისოდ, რომ სახსრების ხარჯვა ნაკლებად გამჭვირვალე იყოს.** თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საპარტნიორო ფონდის დაფინანსების ორი წყარო „სათავეს სამთავრობო წიაღიდან“ აიღებს: ერთი — მისი ნაწილობრივად დაფინანსებული საწარმოების მოღვაწეობიდან მიღებული დივიდენდებით, მეორე კი პრივატიზების თანხებით, მისი სააქციო საზოგადოების იურიდიული სტატუსით დაარსება, ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ **იგი არ იქნება მიჩნეული საჯარო დაწესებულებად და შედეგად, მასზე აღარ გავრცელდება კანონის მოთხოვნები ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯაროობის შესახებ** (ჯერ ვიზეც ვრცელდება, ხომ „გვავსებენ“ ინფორმაციით, ახლა ის რას იზამს, ვიზეც კანონის ეს მოთხოვნა არ გავრცელდება!).

ექსპერტების აზრით, საპარტნიორო ფონდს, განსახორციელებელი პროექტების შერჩევისას, აუცილებლად უნდა დაუდგინდეს შესაბამისი მკაცრი პროცედურები, თანაც, კორუფციული გადაწყვეტილებების მიღების თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელი უნდა იყოს ფონდის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება.

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა არაერთი განცხადებებით, საპარტნიორო ფონდის მიზანი მოგების მიღება კი არა, ისეთი საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებაა, როგორებიცაა, მაგალითად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა, შეჩერებული პროექტების დასრულების ხელშეწყობა და ა.შ. ასევე აცხადებენ, რომ საპარტნიორო ფონდი ბიუჯეტიდან არ დაფინანსდება (?!).** ერთი იქნებ გაგვაგებინოს, პატივცემულმა „უმრავლესობამ“, თუ მთავრობამ და პროექტში მიმღებმა ბიზნესმა „მოგება სანახევროდ“ უნდა გაიყონ, მაშ ეგ როგორ გამოდის? მაშინ ან კანონში წერია ტყუილი, ან პარლამენტარები ეშმაკობენ. მეორე: ფონდი ბიუჯეტიდან არ დაფინანსდებაო რომ ამბობენ, აბა, მთავრობას თავისი ფული საიდან აქვს, თუ არა ბიუჯეტიდან? თანაც, „სახელმწიფოს ნაწილობრივად დაფინანსებული საწარმოთა მოღვაწეობით მიღებული დივიდენდების ნაწილი“, ანდა სახელმწიფო ქონების პრივატიზებისგან მიღებული თანხები რა, განა ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული? თუ არის, მაშინ რა მტკიცება უნდა იმას, რომ ამ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელ ფონდს ისევ ბიუჯეტი დააფინანსებს, ხოლო ზემოთ ნახსენები წყაროები ბიუჯეტში გათვალისწინებული თუ არ არის, მაშინ ეს დაუფარავი კრიმინალია და საპარტნიორო ფონდს მავანნი „ჯიბის ფონდად“ აყალიბებენ.

ისე, ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფოს ნაწილობრივი დაფინანსებული საწარმოების მოღვაწეობიდან მიღებული დივიდენდებიც და პრივატიზების თანხებიც გათვალისწინებულია, ამდენად საქმე არა „კრიმინალთან“, არამედ საკვებურის შექმნასთან და სახელმწიფოს კერძო სექტორის სამოღვაწეო სფეროში შეჭრასთან გვაქვს.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ გამოფენა

# ფოტოები, რომლებიც სიცოცხლეს უმღერიან

**„მთებში მოგზაურობისას არჩვს გადავაწყდი... მან საშუალება მომცა, ფოტოაპარატი ამომეღო, ჩამერთო, მომემართა და სურათი გადამეღო.**

**ამის შემდეგ არჩვი მიიმალა...**

**იგი მიყურებდა, თითქოს თქვენთან მაზარებდა: ადამიანებო, გთხოვთ სიცოცხლეს!“**

სწორედაც რომ, სიცოცხლის, ბუნების და საქართველოს ულამაზესი ხედების სიყვარულით არის განმსჭვალული თემურ ძიძიგურის ფოტოები, რომლებიც დიდი რუდუნებითა და შრომით იქმნებოდა და რომელთა გამოფენაც გალერეა „ვერნისაჟში“ (ყოფილი საგამოფენო დარბაზი „კოპალა“) 26 მაისს გაიხსნა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა.

მეტად საინტერესო გზა განვლო ექიმმა თემურ ძიძიგურმა სტუდენტობის დროს სოფელში შემთხვევით გადაღებული ფოტოდან ამ შესანიშნავ გამოფენამდე.

2005 წელი: დ. კაკაბაძის სახელობის გალერეა — პერსონალური გამოფენა (ქუთაისი);

თბილისის ეროვნული გალერეა — საქართველოს ხალხური შემოქმედების ნამუშევრების კონკურსი. ფერწერული ნამუშევრებისათვის სპეციალური დიპლომი;

2007 წელი: გალერეა „ვარლა“ — ფოტოსურათებისა და ნახატების პერსონალური გამოფენა (ქუთაისი);

2008 წელი: ქართულ-გერმანულ ურთიერთობათა ცენტრი — ფოტოსურათების გამოფენა;

2009 წელი: ქუთაისის დ. კაკაბაძის სახელობის გალერეა — ფოტოსურათების პერსონალური გამოფენა;

2011 წელი: ქუთაისის დ. კაკაბაძის სახელობის გალერეა — ფოტოსურათების პერსონალური გამოფენა;

დაბოლოს 2011 წლის 26 მაისი. გალერეა „ვერნისაჟი“.

თემურ ძიძიგურს გაფორმებული აქვს წიგნები: „სამოგზაურო მთები ქუთაისის შემოგარენში“ (წიგნის ავტორი თავად თემურ ძიძიგურია) და „იმერეთის ფიზიკური გეოგრაფია“ (ავტორი — პროფესორი ოთარ ჩხეიძე).

მისი ფოტოები შეტანილია საქართველოს საჯარო სკოლების მეხუთე კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში.

„შემოქმედებას ძალიან მიადვილებს ის ფაქტი, რომ კარგად მაქვს შესწავლილი ის, რაც მაინტერესებს. კონკრეტულად ეს გახლავთ პეიზაჟი და ბუნების გადაღება ესთეტიკურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით. ალბათ ეს არის ერთ-ერთი პირობა იმისა, რომ დამთვალიერებელი ზუსტად ხვდება ჩემს ჩანაფიქრს და კარგად მიგებს“.

თემურ ძიძიგურის ნამუშევრების მთავარი აზრი ბუნების სიყვარულია. მის ფოტოებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თავისუფლებისა და სივრცის საკითხს, რომელიც საოცრად ცოცხალი და მეტყველი ფორმით გადმოიცემა. აქ ფაქტობრივად ხდება ბუნებისა და ადამიანის ერთმანეთთან შერწყმა, დაახლოება და იმ დაკარგული კავშირის დაბრუნება, რომელიც ჩვენ თავად გავწყვიტეთ.

**„ბევრისათვის მითქვამს, რომ ფოტოგრაფია იმდენია, რამდენი ფოტოგრაფიცაა, ოღონდ გამომსახველობითი ენა მაშინაა ძლიერი, თუ ძლიერია ფოტოგრაფის სიყვარული იმ თემისადმი, რომელსაც იგი იღებს“.**

„ოჯოხეს ტბა“, „იისფერი სვანეთი“, „მზის ჩასვლა ღრუბლების ზღვაში“, „ხედი კოლხეთის დაბლობიდან“, „მუხურის გზაზე“... ფაქტობრივად მთელი საქართველო დაგვიდო ხელისგულზე შესანიშნავმა ხელოვანმა.

„მინდა დამთვალიერებელს ბუნების ენით ველაპარაკო და მისი მთელი სილამაზე ვუჩვენო. მინდა ვთქვა, რომ ნუ მოკლავენ, ნუ გაანადგურებენ. დატკბნენ იმით, რაც ბოძებულია“.





მართლაც, რომ ბუნების ენით ესაუბრებიან დამთვალიერებელს ფოტონამუშევრები. ესაუბრებიან და იმ ადგილებში მიჰყავთ, სადაც ბატონმა თემურმა წამი გააჩერა.

გააჩერა და ჩვენამდე მოიტანა.

**გია გაბრიჭიძე**

# მუსიკა ფერებში

ამას წინათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გამოფენა-კონცერტი სახელწოდებით: „მუსიკა ფერებში — ფერენც ლისტი“, რომელიც მიეძღვნა დიდი უნგრელი კომპოზიტორის, დირიჟორისა და პიანისტის 200 წლისთავს.



გამოფენაზე წარმოდგენილ ფერწერულ ტილოებზე გადმოცემული იყო ფერენც ლისტის მუსიკის მიხედვით შესრულებული ფერწერული კომპოზიციები: — „გნომების სვლა“ — მხატვარი ბესო გინტური, „რაფსოდია“ — ავტორი ბექა სვირავა, „ვილა დ' ესტეს შადრევნები“ — ავტორი ლევან მაჭარაშვილი, ვანო ზუბაშვილი, „ტყის შრიალი“ — „ავტორი სალომე სულაძე, „სიყვარულის ოცნებები“ — ავტორი თამარ გზირიშვილი, „დაბნეული ცეცხლის ალები“ — ავტორი ხატია სუხაშვილი, „მუზა“ — ავტორი ლევან ქერდიყოშვილი და სხვები.

შესასვლელში გამოფენილი იყო ფერენც ლისტის ზეთით შესრულებული პორტრეტი. როიალზე — ალეკო ვასაძე, ეთერ ბუხრაშვილი, ელენე ქობულაშვილი ვირტუოზულად ასრულებდნენ გენიალური კომპოზიტორის მუსიკალურ პიესებს. ეს მხატვართა ჯგუფი, რომელთაც ახლებიც შეემატნენ, უკვე მეშვიდეჯერ მართავს ასეთი სახის გამოფენა-კონცერტს, რაც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. პროექტის ავტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ია ესვანჯია.

— ქალბატონო ია, აქ წარმოდგენილი ფერწერა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი კომპოზიტორის მუსიკის მიხედვით არის შთაგონებული, შესრულების მანერით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია. რამ განაპირობა ეს?

— დიახ, აქ გამოფენილი ფერწერული კომპოზიციები, განსხვავებულია ერთმანეთისგან; ისინი შესრულებულია როგორც რეალისტურად, იმპრესიონისტულად, ასევე აბსტრაქტულად და კუბისტურადაც კი, რადგან ჩვენ მხატვრებს აბსოლუტური თავისუფლება მივეცით, თითოეული მხატვარი თავისი ინდივიდუალური ხედვით, მხატვრული გამომსახველობითა და წარმოსახვითი ხერხით გამოირჩევა. მათ ჰქონდათ საშუალება, თავისებურად გამოეხატათ, რაც უნდოდათ. ამიტომ არ არის გასაკვირი, თუ მე-19 საუკუნის რომანტიკულ მუსიკას აქ ჩვენ აბსტრაქტულად ვიხილავთ — თქვა მან.

გამოფენა-კონცერტი მოწმობს თუ რა ახლოს დგას მუსიკა და ფერწერა ერთმანეთთან, როგორ ავსებენ ერთმანეთს ემოციური მუხტით, ფერებით, რიტმით, დინამიკით, რაც განსაკუთრებულად თვითმყოფადია და საინტერესო შინაარსს ანიჭებს მათ.

**ლია ჭილლაძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

**რაგბი**

# ფინალამდე იაპონური ბარიერია



**თბილისში „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე“ მეორე ტურის მატჩები გაიმართა. კვლავ იყოჩაღეს მასპინძლებმა — უმცროსმა ბორჯღალოსნებმა შავი დღე აყარეს ზიმბაბველებს, არადა, პირველი ტაიმის შედეგის მიხედვით ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ჩვენები შესვენების შემდეგ ასე გაილაღებდნენ.**

მატჩში ანგარიში ქართველებმა გახსნეს — მეორე წუთზე ლელო ლოსაბერიძემ გაიტანა, კობახიძემ კი ზუსტად გარდასახა. 35-ე წუთისთვის ზიმბაბველებმა წონასწორობა აღადგინეს — 14:14, თუმცა ჩვენმა მორაგბეებმა მაინც შეძლეს დაწინაურება — 21:14. მეორე ტაიმში ორთაბრძოლის სადავეები ხელთ იგდეს მასპინძლებმა და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს — 50:19.

**ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** რუსეთი — აშშ 42:36, სამოა — ურუგვაი 37:6, იაპონია — კანადა 30:15.

**ორი ტურის შემდეგ: A ჯგუფი.** სამოა — 10, რუსეთი — 5, ურუგვაი — 4, აშშ — 2 ქულა. **B ჯგუფი.** საქართველო — 10, იაპონია — 10, კანადა — 0, ზიმბაბვე — 0 ქულა.

**1 ივნისს მე-3 ტურში ითამაშებენ:** სამოა — რუსეთი, ურუგვაი — აშშ, საქართველო — იაპონია, კანადა — ზიმბაბვე.

**ლექსო ცინცაძე**

**ფეხბურთი**

# „უემბლის“ გმირები

**ფეხბურთის ისტორიას მრავლად ახსოვს ანსამბლები, თანამედროვეებს უძლიერესად რომ მიაჩნდათ. სამაგალითოდ უნგრეთის დიდ გუნდს, 50-60-იანი წლების მადრიდის „რეალსა“ და 70-იანი წლების დასაწყისის ბრაზილიის ნაკრებს დავასახელებთ.**

ალბათ, გავა დრო და მომავალი თაობები ასეთივე კალიბრის კრებულად აღიარებენ იმ „ბარსელონას“, გასულ შაბათს მეოთხედ რომ მოიგო ჩემპიონთა ლიგა (სხვათა შორის, მეორე დღეს ანალოგიური წარმატება ამავე კატალონიური კლუბის ხელბურთელებმაც მოიპოვეს — **რედ.**ძ.

ფინალამდე სპეციალისტთა და გულშემატკივართა უმეტესობა უპირატესობას ხოსეპ გვარდიოლას შეგირდებს კი ანიჭებდა, მაგრამ თუ ასეთი უსუსური აღმოჩნდებოდა „მანჩესტერი“, თანაც ლამის მშობლიურ „უემბლიზე“, ამას, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა. კურიოზია, მაგრამ ფაქტია — სერ ალექს ფერგიუსონის ბიჭებს მთელი შეხვედრის განმავლობაში კუთხური არ ჩამოუწოდებიათ, ხოლო შესვენების შემდეგ მათმა მეტოქემ XXI საუკუნის (პირობითად, რა თქმა უნდაძ ფეხბურთი აჩვენა და პერიოდულად ჟონგლიორობდა კიდეც





მოკლედ, ევროპულ საკლუბო ფეხბურთს ღირსეული გვირგვინოსანი ჰყავს, ხოლო ლეო მესის სახით, რომელმაც მე-13 მატჩში მე-12 გოლი გაიტანა — ტახტის ჯერჯერობით უგვირგვინო მემკვიდრე.

**„ბარსელონა“ — „მანჩესტერი“** 3:1.

**გოლები:** პედრო, მესი, ვილია; რუნი.

**მსაჯი:** ვ. კაშაი (უნგრეთიძ

**გიორგი შოთაძე**

**კალათბურთი**

# არმიელთა „ჰეთ-თრიქი“

**თბილისის სპორტის სასახლე 50 წლისაა.**

**საიუბილეო თარიღს, მოგეხსენებათ, სათანადოდ აღნიშვნა უხდება, თუ, რასაკვირველია, საამისო განწყობა და შესაძლებლობა გაქვს.**

როცა სუპერთასის გათამაშების მატჩის შესვენებაზე ჯამლეტ ხუხაშვილმა გულშემატკივრებს დედაქალაქის მთავარი დახურული სარბიელის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე მიულოცა და საამისოდ მხოლოდ სამწუთნახევრიანი ძველი კინოქრონიკის კადრები შესთავაზა, ვიფიქრე, ასეთი მოკრძალების მიზეზი რამდენიმე დღის წინათ რუსთაველზე დატრიალებული ტრაგედია იყო, მაგრამ შევცდი — 26 მაისის სამარცხვინო ალლუმის მსგავსად, პირი ამჯერადაც ნინი ბადურაშვილმა დაალო და უკანასკნელ ხმაზე აწეული დინამიკების თანხლებით ისეთი სოლო სიმღერა დააგუგუნა, გეგონებოდა, აფხაზეთი დავიბრუნეთო. რას იზამ, კონიუნქტურისა და მედროვეობისგან საზოგადოება არასდროს ყოფილა დაზღვეული. დასანანი მხოლოდ ისაა, ნიჭიერი ახალგაზრდა რომ ებმება ამ მანკიერების მახეში.



რაც შეეხება თვით „არმიისა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის შეხვედრას, ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვე ქართულ საკლუბო კალათბურთში მას ბადალი არ ჰყავს, მით უმეტეს რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე მოასპარეზე მეტოქესთან — 79:63. ამით სეზონი ჩვენში ოფიციალურად დაიხურა.

**გია პლატონიშვილი**

**წყალბურთი**

# მეხუთედ „ლაგუნა ვერეზე“

**წლეულს მეხუთედ გაიმართა ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა წყალბურთელის, 1983-1984 წლებში დაბადებულთა საქართველოს ნაკრების მეკარის ზურაბ სახელაშვილის თასის გათამაშება მინიწყალბურთში. „ლაგუნა ვერემ“ ამჯერად 8 გუნდს უმასპინძლა. მათ შორის ორი უცხოეთიდან — რუსეთიდან და ჩერნოგორიიდან — იყო.** ტურნირი შესანიშნავად განვლეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყლოსნო კლუბ „ლიგამუსის“ (კოტე გეგელაშვილი, ზურაბ რურუა, ზურაბ ჭუმბურიძე, თამაზ მანძულაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, სანდრო რუსიშვილი, ლევან როსტოშვილიძ წარმომადგენლებმა, რომლებმაც ქვეჯგუფში სამი გამარჯვების შემდეგ ნახევარფინალში ჩერნოგორიელებს სძლიეს 2:0, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში მოსკოვის „შტურმი“ დაამარცხეს 2:1 და „ზუკას თასი“ შეინარჩუნეს.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მარკო კორდიჩი (ჩერნოგორიაძ დაასახელეს, მეკარედ — ლეონიდ კასტროვი („შტურმი“ძ 27 გატანილი ბურთით ბომბარდირი გახდა ზურაბ რურუა („ლიგამუსი“ძ.

**გივი გაგუა**



**ფარიკაობა**

# ხმალმა ბოლომდე ვერ გაჭრა

**ოცდასამწლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს ყაზანი მასპინძლობს. შეჯიბრებაში საქართველოდან 5 მოხმალავე მონაწილეობს. გოგონებში თათია აფციაურმა 22-ე ადგილი დაიკავა. შედარებით უკეთ იასპარეზეს ვაჟებმა.** მაგალითად, კახაბერ მაღრაძემ მეთექვსმეტედფინალში 6 შეხვედრიდან 4 მოიგო, ორიც წააგო და საბოლოოდ მე-14 ადგილზე გავიდა. მას ერთი საფეხურით ჩამორჩა სანდრო ბაზაძე, მისი ძმა ბექა კი მეცხრამეტე იყო. უფრო მეტს მოელოდნენ კადეტებში წლევანდელი მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორ მიხეილ მარდალეიშვილისგან, მაგრამ, ეტყობა, წლები და გამოცდილება თავისას შვრება: ოთხი-ხუთი წლით უფროსებთან პაექრობაში მან 30-ე ადგილი დაიკავა.



**ლაშა დიდია**

**ინტერნეტიდან**

## ბლატერი უკონკურენტოდ?!

**ბოლო დროს უამრავი ჭორი თუ მართალი აგორდა მსოფლიო ფეხბურთის შტაბის — ფიფას — წევრებისა თუ თავკაცების მიმართ, ამ ბოლო დროს კი მისი პრეზიდენტის იოზეფ (ზეპძ ბლატერის წინაალმდეგ. განსაკუთრებულად აქტიურობდნენ ინგლისელი ჟურნალისტები თუ გაზეთები, მას შემდეგ, რაც მათმა ქვეყანამ ვერ მოიპოვა ფეხბურთში 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება.**



ალბათ იცით, რომ ხვალ უნდა გაიმართოს ფიფას პრეზიდენტის არჩევნები. იყო მხოლოდ ორი კანდიდატი — თავად ბლატერი და აზიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მოჰამედ ბინ ჰამამი, რომელიც ერთ დროს მხარს უჭერდა ბლატერს, ბოლო ხანებში კი, განსაკუთრებით კი ფიფას პრეზიდენტობის კანდიდატად მისი წამოყენების შემდეგ, გააძლიერა ფიფას ახლანდელი თავკაცის კრიტიკა თუ ცილისწამება.

ასე რომ, შექმნილი ვითარება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეთიკის კომისიის განსახილველი გახდა. გამოძიებამ, რომელიც ბლატერსაც შეეხო, გამოავლინა, რომ ორი კვირის წინ ტრინიდადში ჩინოვნიკები ურიგებდნენ 40-40 ათას დოლარს კარიბის ფეხბურთის კავშირის წარმომადგენლებს, რათა მათ მხარი არ დაეჭირათ ბლატერის კანდიდატურისთვის პრეზიდენტის არჩევნებზე და ბინ ჰამამი ფიფას თავკაცი გახდებოდა.

ეთიკის კომისიამ კორუფციაში ყველანაირი ეჭვი მოუხსნა ბლატერს, ბინ ჰამამმა კი თავად მოხსნა არჩევნებიდან თავისი კანდიდატურა.

ასე რომ, ბლატერი ახლა ფიფას პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატია!

## მონიკას ვინ გაუტოლდება

**ვინ არ იცის, რომ ბევრი მამაკაცი ჩოგბურთის მატჩებზე, ფიგურული მოციგურავეების, მძლეოსნების, ტანმოვარჯიშეების ასპარეზობებზე დადიან მხოლოდ სპორტის შეჯიბრებების საყურებლად კი არა, არამედ იქ მონაწილეთა ცქერით თვალის გასახარად. აი, რით ახარებს მამაკაცთა თვალსა და გულს ამერიკელი მონიკა მონტონი.**

ის ადრე ფიტნესით იყო გატაცებული, ახლა კი ჯიუჯიტსუს ვარსკვლავია. მან მოიგო თავის წონით კატეგორიაში ჩემპიონატი NAGA. ისიც კი თქვეს, რომ მეტოქეებს ეშინოდათ მისი მაკიაჟის გაფუჭება. როგორც ამბობენ, ის ძალზე ლამაზია, რასაც მოწმობს მისი უამრავი ფოტოსესია სპორტული, სპორტის მახლობელი და საერთოდ არასპორტული გამოცემებისთვის. ჩემპიონის სარტყელი კი მას მეტ დამაჯერებლობას მატებს. ბევრი მამაკაცი ოცნებობს მონიკას წინაალმდეგ რინგზე გამოსვლას, რათა მის მახლობლად იყოს და ხელით მაინც შეეხოს მას. მერე რა თუ მისი დარტყმებით ჩალურჯდება კიდეც.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ მოგონება

# ტიტანების ტრიუმფი

**დიდი დავით კლდიაშვილი იშვიათი უნარით ძერწავს როგორც ღირსეული მამულიშვილების სულისკვეთებას, ისე გალოტებული სახელმწიფო მოხელეების ბუნებას. ამ მხრივ მწერლის შედევრებიდან დღესაც ნამეტნავად აქტუალურია „ბაკულას ღორები“.**

სიმონეთელი გენიოსის ამ უკვდავ ქმნილებას ფართო სივრცე და მეტი პოპულარობა შესძინა განუმეორებელი მიხეილ თუმანიშვილის და მისი აღზრდილი უნიჭიერესი მსახიობების მიერ სასწაულებრივად გასცენირებულმა სპექტაკლმა, რომელმაც ტრიუმფით იმოგზაურა არა მარტო მშობლიური ცის ქვეშ, არამედ პლანეტის დიდ ქალაქებში. მაგონდება 1986 წელს ლენინგრადში, ნევის პროსპექტზე მდებარე მშვენიერ, უზარმაზარ დარბაზში ათასობით აღფრთოვანებული მაყურებელი და მათი ტაშის გრიალი, სცენაზე ყვავილების ცვენა და მოწონების შეძახილები. მერე, ოვაციის ჩაცხრომისთანავე, სახელგანთქმული რეჟისორების – წარსულში ბრძენი მოძღვრის გიორგი ტოვსტონოგოვის და მისი ღირსეული შეგირდის მიხეილ თუმანიშვილის შეხვედრა. სწორედ ეს დაუვიწყარი მომენტი უკვდავყო 25 წლის წინათ ფოტოხელოვან იური მეჩითოვის კამერამ. სურათს, რომელზეც გამოსახული არიან მარცხნიდან: მიხეილ თუმანიშვილი, ბიძინა გეგეშიძე, გიორგი ტოვსტონოგოვი და პაატა ფანცულაია, მოკრძალებით ვთავაზობ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს.



**ბიძინა გეგეშიძე**

ხელოვნება

# მარიამ ნედოსპასოვა

ქართულმა აღმოსავლეთმცოდნეობამ მძიმე დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ქართული სემიტოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მკვლევარი და პედაგოგი მარიამ ნედოსპასოვა. იგი დაიბადა თბილისში 1929 წელს მოსამსახურის ოჯახში. 1947 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ერთი წელი მუშაობდა მოსკოვში და თავს ართმევდა ურთულეს დავალებებს. მაგრამ ქალბატონი მარიამისთვის ძნელი გამოდგა მშობლიურ ქალაქთან განშორება, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა მისი მოსკოველი კოლეგებისთვის. სწორედ მათ აცნობეს მოსკოვში მყოფ აკად. გიორგი წერეთელს საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდის მდგომარეობა და ქართული სემიტოლოგიის მამამთავარმა მარიამ ნედოსპასოვას შესთავაზა მშობლიურ ქალაქში დაბრუნება და ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება. ამის შემდეგ ის დაუღალავად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს და თავისი მასწავლებლის ღირსეული მოწაფე და მისი საქმის გამგრძელებელი გახდა.



1960 წელს გიორგი წერეთლის თაოსნობით შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. დაარსების დღიდან – სიცოცხლის ბოლომდე, მარიამ ნედოსპასოვამ ნახევარი საუკუნე იმსახურა ინსტიტუტში და განვლო გზა მეცნიერ-თანამშრომლიდან წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობამდე. ის შესანიშნავად ფლობდა ურთულეს აღმოსავლურ ენას – არაბულს, სხვა აღმოსავლურ და ევროპულ ენებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსული სკოლა დაამთავრა, მისი უზადო ქართული ბევრისთვის მისაბაძი იყო.

1964 წელს მარიამ ნედოსპასოვამ, გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით, დაიცვა დისერტაცია თანამედროვე არაბული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პრობლემებზე, რის შემდეგაც სრულად გამოვლინდა მისი ღრმა ცოდნა და ერუდიცია სხვა მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომაში. მათგან აღსანიშნავია ორი მონოგრაფია: „უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში“ და „ძვირფასი თვლები ბიბლიაში“ – უაღრესად ფასეული და მნიშვნელოვანი სამაგიდო წიგნები ყველა სპეციალისტისთვის.

საგანგებოდაა აღსანიშნავი მარიამ ნედოსპასოვას პედაგოგიური მოღვაწეობა. კლასიკური და თანამედროვე არაბულის ღრმა ცოდნა, საკვლევი პრობლემატიკის ფართო დიაპაზონი, თანდაყოლილი ტაქტი და ენერგია გახდა იმის საფუძველი, რომ ის ჩამოყალიბებულიყო შესანიშნავ პედაგოგად, წლების მანძილზე დაუზარებლად და უშურველად გადაეცა ცოდნა სტუდენტებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და, მოგვიანებით, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში. ამ მხრივაც მარიამ ნედოსპასოვას ღვაწლი წარუშლელია ქართველი არაბისტების მრავალი თაობისათვის.

მარიამ ნედოსპასოვა, ან მუსია, როგორც, ჩვეულებრივ, სიყვარულით ეძახდნენ ამ სათნო ქალბატონს, უანგაროდ ედგა მხარში ყველას, ვინც მას დახმარებისთვის მიმართავდა. უაღრესად ძნელია მასზე წარსულ დროში ლაპარაკი. მისი პირადული თვისებები დაუვიწყარი იქნება კოლეგებისა და მეგობრებისთვის, მისი ადგილი დარჩება შეუვსებელი, ხოლო შრომები სამუდამოდ დაიმკვიდრებენ ადგილს ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ისტორიაში.

აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის
სემიტოლოგიის განყოფილება

◉ ინფორმაცია

## თურქეთში მხოლოდ პირადობის მოწმობით გადავალთ

პირველი ივლისიდან საქართველოსა და თურქეთს შორის მიმოსვლა მხოლოდ პირადობის მოწმობებით იქნება შესაძლებელი. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მხარეებს შორის შესაბამისი შეთანხმება დღეს გაფორმდება.

– შეთანხმების თანახმად, ორივე ქვეყნის მოქალაქეებისთვის საზღვრის გადაკვეთის გამარტივებული რეჟიმი შემოდის. კერძოდ კი, მიმოსვლა მხოლოდ პირადობის მოწმობებით იქნება შესაძლებელი, – აღნიშნა კალანდაძემ.

მისივე განმარტებით, აღნიშნული გააღრმავებს როგორც ქვეყნებს შორის ტურისტულ, ისე სავაჭრო ურთიერთობებს.

## მიწისძვრა დედოფლისწყაროში

საქართველოში გუშინ დილით მიწისძვრა მოხდა.

სეისმოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, ეპიცენტრი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, დედოფლისწყაროს რაიონთან ახლოს, რამდენიმე კილომეტრში მდებარეობდა.

მიწისქვეშა ბიძგები 06:06 საათზე დაფიქსირდა. მისი სიმძლავრე 4 მაგნიტუდა იყო.

წინასწარი ინფორმაციით, მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

## ჯარიმის მოცულობას ამცირებენ

მთავრობის საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის განცხადებით, ცვლილება შედის „საგადასახადო კოდექსის“ 289-ე მუხლის მე-3 და მე-9 დებულებაში, რომლის მიხედვითაც ფიზიკური პირისთვის ჯარიმის მოცულობა მცირდება.

– თუ ადრე ჯარიმა საქონლის ღირებულების 100%-ი იყო, ამიერიდან ფიზიკური პირი დაჯარიმდება საქონლის ღირებულების 40 %-ით, ესეც იმ შემთხვევაში, თუკი შემოტანილი საქონლის ღირებულება 3000 ლარს არ აღემატება, – განაცხადა გია ხუროშვილმა.

## დააკავეს 24-კაციანი დაჯგუფება

2011 წლის 26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ყინწვისში დააკავეს შეიარაღებული დაჯგუფება 24 კაცის შემადგენლობით.

როგორც დაკავებულების ჩვენებებიდან ირკვევა, მათ ხელმძღვანელობდა საქართველოს შსს ყოფილი მინისტრი და ასევე მხედრიონის ერთ-ერთი ლიდერი თემურ ხაჩიშვილი, რომელიც ამ დროისთვის იმყოფება რუსეთის ფედერაციაში. ამ ჯგუფის მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული პროვოკაციების მოწყობა, – ნათქვამია შსს-ის განცხადებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებულ პირთა აღიარებით ჩვენებასა და სატელეფონო საუბრების ერთ ნაწილს გამოაქვეყნებს.

## „ბადრი ქუთაისსკი“ დააკავეს

რუსული მედიის ინფორმაციით, ბადრი კოლუაშვილი, რომელიც კრიმინალურ სამყაროში „ბადრი ქუთაისსკის“ სახელითაა ცნობილი, დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო ჩხრეკისას მილიციამ მას 3 გრამი ჰეროინი აღმოუჩინა.



46 წლის კანონიერი ქურდი მოსკოვის ცენტრში ერთ-ერთ ცნობილ კაფეში დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, კოლუაშვილთან ერთად დაკავებულია რამდენიმე რუსი კრიმინალური ავტორიტეტიც.

## ხანძარი ფონიჭალაში

ქვემო ფონიჭალაში სასაწყობო მაცივრების მე-4 და მე-5 საკნებს ხანძარი გაუჩნდა. ელექტროგაყვანილობიდან გაჩენილი ცეცხლი 200 კვადრატულ მეტრ ფართობზე გავრცელდა.

ადგილზე სახანძრო-სამაშველო სამსახურის 6 ჯგუფი იყო მობილიზებული. ხანძრის ლოკალიზება მაშველებმა ნახევარ საათში შეძლეს.

შემთხვევის დროს არავინ დაშავებულა. რა ზარალი მიადგა დაწესებულებას, ჯერჯერობით, უცნობია. მომხდარ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე, სამეცნიერო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოსა და აფხაზეთის მეცნიერების დამსახურებული მუშაკი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, პროფესორი

ვალერიან აქვსენტის ძე ზუხბაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის მთავრობა



---

ანზორ შონია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება დიდებული პიროვნების, ღირსეული მამულიშვილის, ცნობილი მეცნიერის, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, აფხაზური საკითხის ერთ-ერთი ობიექტური მკვლევარის

ვალერიან ზუხბაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ქალთა საბჭო მწუხარებას გამოთქვამს გამგეობის აქტიური წევრის ქეთევან ქუთათელაძის მამის

გურამ ქუთათელაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 31 V, 14 სთ. საბურთალოს წმინდა ნინოს ეკლესიიდან.

---

თენგიზ მდივნის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გურამ ქუთათელაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## განცხადება

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 53[4] მუხლის თანახმად, სს „სანტექმონტაჟნაკეთობის“ აქციათა 95 პროცენტზე მეტი არის სამი აქციონერის კუთვნილება, აღნიშნულიდან გამომდინარე, ვახორციელებთ აქციათა გამოსყიდვას სამართლიან ფასად.

დირექტორი ო. დვალი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ჩვენი კარაბადინი

### ტელევიზორი, შორს საძინებელი ოთახიდან!



**გამოკვლევამ აჩვენა, რომ თუ ტელევიზორი ბავშვის საძინებელ ოთახშია, იმის ალბათობა, რომ ბავშვს ექნება სიმსუქნე, ხდება გაცილებით მაღალი. მეცნიერებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში შეაგროვეს ინფორმაცია 5-დან 9 წლამდე ასაკის თითქმის 600 ბავშვის სხეულის მასის წონისა და ინდექსის შესახებ, აგრეთვე მშობლებისგან გაიგეს, თუ არის ბავშვის ოთახში ტელევიზორი.**

— ბავშვების 70 პროცენტის საძინებელში იყო ტელევიზორი და 32 პროცენტს აღმოაჩნდა ზედმეტი წონა ან საფრთხე, რომ განუვითარდებოდა სიმსუქნე მომავალში, — ამბობს გამოკვლევის ხელმძღვანელი დოქტორი დუ ფენგი.

ბავშვი, ვის საძინებელ ოთახშიც არის ტელევიზორი, დღეში დაახლოებით სამნახევარ საათს უყურებდა ტელევიზორს. ისინი კი, ვის საძინებელში არ იყო ტელევიზორი, ტელევიზორს დაახლოებით ერთი საათით ნაკლებ ხანს უყურებდნენ. შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ბავშვები საკუთარ ტელევიზორებთან მეტ შაქრისშემცველ სითხეს სვამდნენ, ჭამდნენ ნაკლებ ბოსტნეულსა და ხილს და მეტ ფასტფუდს მოიხმარდნენ.

### ოხრახუში — კიბოს წინააღმდეგ

**მკვლევარებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაადგინეს, რომ აპიგენინს — ნივთიერებას, რომელიც უხვადაა ნიახურში, ოხრახუშში, სხვა მწვანილში, აგრეთვე კაკალსა და ხილში, შეუძლია დაბლოკოს მკერდის კიბოს სიმსივნის ზრდა.** როდესაც ყალიბდება სიმსივნე, იგი თანდათან იფარება კაპილარების ქსელით, რაც აუცილებელია მისი განვითარებისთვის. აპიგენინი ბლოკავს კაპილარების წარმოქმნას, და სიმსივნე წყვეტს ზრდას. სამწუხაროდ, მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ დაიანგარიშეს ოხრახუშის თუ ნიახურის აუცილებელი თერაპევტული დოზა.



### მითხარი, როგორ გძინავს...

**მეცნიერთა უკანასკნელმა გამოკვლევამ საშუალება მოგვცა, გაგვეანალიზებინა ურთიერთკავშირი პოზასა, რომელშიც სძინავს ადამიანს, და მის დაავადებებს შორის. მაგალითად, იმ ადამიანებს, ვისაც გვერდზე სძინავს, აქვთ ნაოჭების გაჩენის მეტი რისკი, მაგრამ ამავე დროს ასეთი პოზიცია გვეხმარება მოუნელებლობისა და გულძმარვის დროს.** ზურგზე ძილი გვეხმარება, შევიმსუბუქოთ ართრიტი და შევამციროთ ტკივილები სახსრებში.



მაგრამ სამაგიეროდ მათ ეზრდებათ ასთმის და გულის პრობლემების გართულების ალბათობა. სხვათა შორის, სწორედ ზურგზე წოლის დროს ადამიანები უფრო ხშირად ხვრინავენ. ზურგზე მწოლ ადამიანებს აწუხებთ სისხლში ჟანგბადის შემცველობის დაქვეითება. ემბრიონის პოზაში ადამიანებს სძინავთ, როდესაც განიცდიან ტკივილებს წელში, კისერში. აი მუცელზე წოლა კი დაგვიცავს ხვრინვისგან, მაგრამ შეიძლება ხელი შეუწყოს ტკივილებს კისერზე.

### სიკვდილი სკამზე

**დღეში ექვს საათზე მეტი ხნით ჯდომა 40 პროცენტით ზრდის ახალგაზრდა ასაკში გარდაცვალების ალბათობას, გვაფრთხილებენ მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მათი მონაცემების თანახმად, მამაკაცებს, რომლებიც დღეში ექვსი საათის განმავლობაში მჯდომარე მდგომარეობაში არიან, ახალგაზრდულ ასაკში გარდაცვალების 20 პროცენტით მეტი რისკი აქვთ, გარდაიცვალონ ახალგაზრდობის დროს, ქალებს კი — მთელი 40 პროცენტით.** მჯდომარე სამუშაოს მქონე ხალხს ემუქრება გულის დაავადება მათზე ორჯერ უფრო მეტად, ვინც იძულებულია, იაროს ან იდგეს. როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, თანამედროვე ადამიანების ცხოვრების სტილი აბსოლუტურად მჯდომარე გახდა: პირველად კაცობრიობის ისტორიაში ჯდომის დროის საშუალო მაჩვენებელი მსოფლიოში 9,5 საათს აღწევს. მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ თეთრი საყელოები, ვინც სამუშაო დროის დიდ ნაწილს კომპიუტერთან ატარებს, იწყებენ ჯანმრთელობის პრობლემების შეგრძნებას და აღნიშნავენ გუნება-განწყობილების მნიშვნელოვნად გაუარესებას. სამსახურის უკვე რამდენიმე წლის შემდეგ. „თუ ზიხართ დღეში 6 საათზე მეტი, მაშინ გაქვთ 40 პროცენტით მეტი შანსი, გარდაიცვალოთ მჯდომარე ცხოვრების დაწყებიდან 15 წლის შემდეგ“, — გვაფრთხილებენ მედიკოსები. მათი სიტყვებით, იმისთვის, რომ დავიცვათ თავი რისკებისგან, საკმარისია, ვიაროთ სპორტის რომელიმე სექციაში.



ХОРОШИ

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● როგორც ცნობილია, ყველა დაპყრობილ ქვეყანაში ალექსანდრე მაკედონელი თავისი ქანდაკების დადგმას ითხოვდა. იგივე მოითხოვა იუდეაშიც. მაგრამ რაბინებისგან უარი მიიღო, რადგანაც რელიგია კრძალავს ადამიანის ქანდაკების შექმნას, თუმცა ებრაელებმა მაინც უკვდავყვეს ალექსანდრე მაკედონელის სახელი იმით, რომ იმ წელს დაბადებულ ყველა ვაჟს იუდეაში ალექსანდრე დაარქვეს.

● ქალაქ ლუქსემბურგის ცენტრში აღმართულ ობელისკზე ასეთი წარწერაა: „ჩვენ გვინდა დავრჩეთ იმად, რანიც ვართ“.

● საფრანგეთში ჟანდარმებს მეტსახელად პინგვინებს უწოდებენ.

● „აქაურებს 330 მონარქის ისტორია აქვთ შემონახული“, — წერდა ეგვიპტის შესახებ ჰეროდოტე.

● მეფის რუსეთში ადამიანებს, რომლებთაც წვერ-ულვაშს სახის ცალ მხარეზე პარსავდნენ, კატორღელები ერქვა.

● „მხიარული როჯერი“ — ასე ერქვა ინგლისელ მეკობრეთა დროშას.

● „კოლეჯში გოგონები 4 წლის განმავლობაში სწავლობენ, თუ როგორ დაიჭირონ თავი კულტურულ საზოგადოებაში, ხოლო მთელი ცხოვრება ეძებენ ასეთ საზოგადოებას“, — ამბობენ ამერიკელები.

● მონღოლები არასდროს რეცხავდნენ ტანსაცმელს, რათა მათი რწმენით არ შეერყვნათ წყლისა და ჰაერის სტიქიები: პირველი — ტანსაცმლის გარეცხვისას, ხოლო მეორე — ტანსაცმლის გაშრობისას.

● ინდიელები სასიკვდილოდ განწირულ ხელებშეკრულ ადამიანს ყელზე უკეთებდნენ სველი ტყავის სარტყელს, რომელიც შრებოდა, ვიწროვდებოდა და ადამიანს გუდავდა.

● კვიპროსის დროშაზე თვით კვიპროსის კუნძულია გამოსახული.

● აზიურ სპილოებს მხოლოდ მამლებს ეზრდებათ ეშვები, აფრიკულ სპილოებს — მამალსაც და დედალსაც.

● რუსეთის ერთ-ერთი კაზინოს საპირფარეშოში ხელების ელექტროსაშრობი პირსახოცით შეცვალეს, რადგანაც ელექტროსაშრობით ხელის გამშრალებას კლიენტი 45 წამს ანდომებდა, პირსახოცით კი მხოლოდ 5-ს. კაზინოში თამაშის კანონზომიერება კი მარტივი და უცვლელია, რაც უფრო დიდხანს თამაშობს ადამიანი, მით მეტს აგებს. ამ ღონისძიების შედეგად სათამაშოდ გამოთავისუფლებულმა ნახევარ წუთმა კაზინოს შემოსავალი საგრძნობლად გაზარდა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6840 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3930 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7390 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 — +24 |
| ქუთაისი. | +17 — +29 |
| ბათუმი. | +18 — +24 |
| ზუგდიდი. | +18 — +29 |
| თელავი. | +16 — +23 |

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## კადრი



## ანეკდოტები

— ვერ მეტყვით, როგორ მოვხვდე რაც შეიძლება მალე იმ მთაზე? — ეკითხება ტურისტი მიხოს.

— რა გითხრა, კაცო... თუ გინდა, ძაღლს ავუშვებ!

* * *

— მიხო, სად მიგყავს ეს ბუღა? — ეკითხება მეზობელს ზაქრო.

— ფურთან მიმყავს ანაგაში.

— ანაგა ხო შორსაა... აქ ვერავისთან შეაჯვარე?

— აბა, რა უნდა გელაპარაკო, — აფეთქდა მიხო, — გემოვნების საქმეა, შენ მაგ საქმისთვის იმერეთში რად გაჯლიგინდი?



* * *

— მიხო, რადა ხარ ასე უხასიათოდ?

— ცუდი სიზმარი ვნახე წუხელა!

— რა დაგესიზმრა?

— ვითომა მიხო ვიყავი.

— მერე რა, ისედაც ხო მიხო ხარ?

— ჰო, მაგრამ სიზმარში მაინც ძალიან მურტალია, რა!

* * *

ჭიჭიკია და ბიჭიკია რესტორანში ქეიფობენ. ბოლოს ანგარიში მოითხოვეს.

— რაია, ქალო, ეს ანგარიშია თუ რესტორნის მოყიდვას გვიპირებთ?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24